


ლიტერატურული გაზეთი

№101 19 ივლისი - 1 აგვისტო 2013

ბამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



ვახტანგ ჯავახიძე

პარდი ქუჩაში

მე მომწონს გალას ვარდი სილაში და მოკრძალება ვერდის წინაშე. მომწონს აგრეთვე ვარდი ვაზაში და ზუსტი ალავერდი ვაჟასი. არ შემიძლია განავარდება მაშინ, როდესაც ვარდი ვარდება. ახლა იმ წმინდა ადგილს დავეძებ, სადაც ის ვარდი უნდა დაეცეს. მეფისტოფელმა გაინავარდა ქუჩაზე, სადაც ვარდი დავარდა. ყველაზე მძიმე ვარიანტია, როცა ქუჩაში ვარდი ავდია. არადა, მართლაც რა მევარდება, როდესაც ვარდის კურსი ვარდება?!

IV-V

ედგარი პირველად

ვერც ღვინო მიშველის ახლა და ვერც წყალი: ნიავემა წაიღო წინილის ბუმბული, მოფრინდა მშვიდობის პირველი მერცხალი, გაფრინდა მშვიდობის მეორე ბულბული. არა მაქვს ფულ-ფული, კანკალებს გულ-გული, მახვილი — მახვილად! ოროლი — ოროლად! მოფრინდა მშვიდობის მესამე გუგული, გაფრინდა მშვიდობის მეოთხე ტოროლა. არც მეიმედები, ვერც მეიმედები, რაკილა ზეობენ ზემუქთახორანი, რაკილა გაფრინდნენ პიკასოს მტრედები, რაკილა მოფრინდა ედგარის ყორანი.

ჯარჯი ფხოველი

ხელის-გულის ანაბეჭდები

ირიბი რითმა. ირიბი რითმის დიდოსტატი იყო გაბრიელ ჯაბუშანური. ირიბ რითმას დღეს თითქმის ყველა პოეტი მიმართავს მეტ-ნაკლები წარმატებით. რამ გამოიწვია ირიბი რითმის „მოძალბა“? ეს განაპირობა ახალი რითმის ძიებამ... პირდაპირი ანუ სწორი რითმის მარაგი ამონურვადია, ხოლო პოეტური სიტყვის თამაშით მიღწეული ირიბი რითმა დიდ პერსპექტივას მოიცავს, თუმცა ესეც უნდა ვთქვათ: ირიბი, არასწორი რითმა ლექსის ექსპრესიას ანელებს, ამდორებს, ამას უნდა შევეგუოთ.

ქანრის გამართლება: მეტაპოეზია, მეტალექსი: ის, რაც წმინდა პოეზიად ვერ იქცა. რაღაც, რაც ემოციით პოეზიას ენათესავება, ხოლო ფორმით —

წყობილსიტყვას, პროზაულ ლექსს, ესეის... ის, რაც მედიტაციური გზებით მოდის... ეს მეტა (meta) რაღააო, იკითხავს მავანი და ლექსიკონისაკენ გაიხედავს!.. საქმეს გავაიოლებ და აქვე მოვიყვან „უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან“ ამონარიდ განმარტებას: „მეტა – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი: აღნიშნავს შუალედურ მდგომარეობას, მიდევნებას, მიყოლას, რაიმეზე გადასვლას, მდგომარეობის გამოცვლას, გარდაქმნას“... აქვე ვიტყვი: მეტალექსი უნდა მივიღოთ, როგორც გლობალური პოეზია, საერო და სასულიერო პოეზიის ნაზავი, ფიქრებისა და ემოციის ერთიანობა... ვიცო: მეტაპოეზია სულ მალე ქართველი პოეტების შემოქმედებითი დარდის ნაწილი გახდება! გზა დაუულოცოთ ამ ჟანრს!

ჩვენი მიზეზი ვიღაცას ტყუილად კარზე და ფრა ჯიოვანისი ობლად აღზრდილიყო ფრანცისკელთა მონასტრის სიმყუდროვეში, ლომბარდის ტურფა მინა-წყალზე, მაღალი და რუხი კედლების იქით, გალობის ზუზუნსა და მარხვის ჩეროში... ორდენს უთანხმოება ჰქონდა პაპთან და ფრა ჯიოვანისი, იმის გამო, რომ ყრმობისას მისტიური მოძღვრების მიმდევარი იყო და იმიტომაც, რომ შეურიგებლობით გამოირჩოდა ყოველგვარი დოგმისადმი, გარეული აღმოჩნდა ინტრიგაში, რაც თორმეტი წლით შორეულ მონასტერში გადასახლებით დასრულდა, სადაც მან, ბოლოსდაბოლოს, შეეცადა მოინანია და ახლა კილიკიაში გადაიყვანეს, რათა ოფიციალური რელიგიისადმი ერთგულებით განვრთნილიყო... იმხანად სირია-პალესტინაში მრავლად იყო მისიონერული ცენტრები, ორდენის წევრებს აქ უცხო ენებსა და ორთაბრძოლის ილეთებსაც კი ასწავლიდნენ და შემდგომ მახლობელ აღმოსავლეთში გზავნიდნენ ცხადი თუ ფარული დავალებით, უმეტესად კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად; ფრა ჯიოვანისი ამ მიზნით უნდა გასდგომოდა შორეული ინდოეთის გზას, როცა მოულოდნელად მისია შეუცვალეს და ივერიაში გამწესეს იქაური საძმოს წევრად. ივერია მაშინ პატარა სამთავრო იყო და ფრა ჯიოვანისი აქაური მეფის კარზე თარჯიმნობდა, ზოგჯერ კი სამეფო ოჯახს სწამლობდა ბალახეულის ნახარშით, რომლის მომზადებაშიც ის დიდად გაინაფა; ასე რომ, შეეძლო მეფის პირადი ექიმიც გამხდარიყო, მაგრამ ფრა ჯიოვანისი გულს სხვა ჭია უღრღნიდა: სურდა კავკასიონის უბირი მთიელები ქვემარტ რჯულზე მოექცია... მან კურთხევა გამოსთხოვა მისიის ხელმძღვანელს, თუმცა მოხუცი წინამძღვარი შიშობდა, ეს მოგზაურობა ფრიად სახიფათო არ გამხდარიყო ძმა ჯიოვანისათვის, მაგრამ ფრა ჯიოვანისი დაარწმუნა, ვიფრთხილებ და წარმართებს თავს პაპის ელჩად მოვაჩვენებ, ვითომ ყოჩაღეთს რომ მინდა გადასვლა... მთიელების დასარწმუნებლად მას საგანგებო სიგელი მიჰქონდა თან, პაპის სახელით შედგენილი, რასაც უნდა დაეცვა და დაეფარა ხიფათისაგან, თუ ვინცობაა წარმართები უნდა დახვდებოდნენ და ქადაგებას არ მოუწონებდნენ; ფრა ჯიოვანისი კარგად იცნობდა მთიელთა ფიცხ და ბარბაროსულ ხასიათს, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მათთვის სტუმარი ხელშეუხებელი იყო და თუკი სიტყვით არ გამოინვევდა და ფარულ ზრახვას ამკარად არ გაუმჟღავნებდა, ისინი ელჩს არას ავნებდნენ — შეეძლო მშვიდობიანად გაეცლო ფხოველთა მინა-წყალი...

მეგზურად გამოცდილი ვეტერანი იქირავა, მეფის ყოფილი მოლაშქრე, რომელსაც აქ სამეფო ჯართან ერთად ებრძოლა აჯანყების ჩასახშობად და ამიტომ აქაური გზა-ბილიკებიც დამახსოვრებოდა... შემოდგომის მზიანი დილით გაუყვანენ გზას და შეღამებისას ჟინვანს მივიდნენ, სადაც ცხენები ფორებზე გადაცვალეს, რადგან მთაში სასიარულოდ ჰუნე არ გამოადგებოდათ; ჯორებით მცირედენი ბარგი მიჰქონდათ — ყოველდღიური სახმარი რამ, საგაძლი, საბან-გობანი და ახალმოქცეულთა დასასაჩუქრებლად ბიბლიის ნაბეჭდი ნიგნები; თავად ფეხით მისდევდნენ დასაპალნებულ პირუტყვს, რაკილა გზა ვინრო და ციცაბო იყო და ამ კიბორჩხებზე მხედარი ვერ გაიმართებოდა, კლდის შვერილისთვის მაინც რომ აერიდებინა თავი; ხან აქ, ხან იქ ხვდებოდათ მთის უბეს მიკრული ქონხანები, ზოგჯერ კი სპიით ნაშენი ციხე-სიგელები, შორიდან არწივის ბუდეებს რომ ჰგავდნენ; ხვდებოდათ ხალხიც, უმეტესად ქალები და ბალები; კაცები, როგორც ჩანს, მოგზაურებს ერიდებოდნენ, თუმცა ფრა ჯიოვანისი დარწმუნებული იყო, რომ აქაურები მის ყოველ ნაბიჯს ზომავდნენ და ფარულად უთვალთვალებდნენ კიდევ... რამდენიმე ალაგას ფრა ჯიოვანისი შეჩერდა და წარმართებს გამოელაპარაკა, ნიადავი მოსინჯა საქადაგებლად... მიაბიტი მთიელები დანდობილად უსმენდნენ და ფრა ჯიოვანისი ეს ბედნიერ წინასწარგანჩინებად მიიჩნია... უფრო მხნე და განაგრძო გზა, მაგრამ ავდარმა უსწრო და იძულებული გახდა, თავშესაფარი ეთხოვა... როგორც საპატიო სტუმარი, ის სოფლის საუკეთესო კვითკირში დააბინავეს, თემის უფროსის სახლში, სადაც მას სითბო და ვახშირი ელოდა... ვახშირად აქაურთა ნუგ-

ბარი კერძი მოართვეს — მოხარული ხორცი, ცომში გახვეული ცხვრის დაკეპილი ლურთები და ქერის ხშიადი, ლუდსა და მჟავე არაყთან ერთად, თუმცა ფრა ჯიოვანისი ხორცეულისათვის პირი არ დაუკარებია — ვევეტარიანელი იყო და მათობელ სასმელსაც ეკრძალოდა; მართლ „პურ-საჭინი“ წაიხმესა, როგორც მთიელები ეძახდნენ ქვასავით მაგარ ხშიადსა და ცხვრის დაობებულ ყველს, მასპინძელს მადლი უძღვნა და მოსასვენებლად ზემო სართულში ავიდა მამასახლისის ქალიშვილის თანხლებით, ვინაც ანთებული კვართი კიბეს უშუქებდა... უღულებოდნაგებ ოთახში ავეჯი არ იყო, ნაძვის ფიცრისაგან შეკრული და ნადირის ტყავით დაფარული ლაჭანისა და კუთხეში მიდგმული სამოსის შესანახი ხის კიღობნის მეტი; სიცივეს რომ არ შემოედნია, კედლები ნაქარგი ხალიჩებით აეკრათ. ფრა ჯიოვანისი ცნობისმოყვარედ დააცქერდა ფარდაზე გამოსახულ ნახატს: დაკოდილ ირემს, უკნიდან მგელი რომ ეპარებოდა, და მერე გოგოს ჰკითხა, სურათი ვინ მოქარგაო...

— მე, — თამამად მიუგო გოგომ. ფრა ჯიოვანისი დაიხარა და უფრო ახლოდან დააკვირდა ფარდას. დაკოდილი ქორბუდას მოთვალთვალე მგელს ყვავილებით მოჩითული, ფერადოვანი ბორცვიდან ამოეყო თავი და ისეთი გაკვირვებით იცქირებოდა, რომ ფრა ჯიოვანისი გული ანად გაეცინა. მერე ასევე ხალისიანად დაეკითხა ქალიშვილს, ეს ამბები თავად გინახავს თუ ვინმესგან იცით...



— ჩემმა ძმამ დაკოდა ერთხელ მგელი, — თქვა გოგომ, — როცა ჯიხვს ეპარებოდა თურმე...

— აჰა, აი რა ყოფილა, — გაიცინა ფრა ჯიოვანისი, რომელსაც ასე ართობდა ქალიშვილის გულუბრყვილობა, — მამასადამე, საძაგელი მგელი სათანადოდ დაისაჯა... ასე, ასე... კარგია... ირემი კი უნდა შევიცოლოდო, არა? შემთხვევით მერე შენმა ძმამ ხომ არ მოკლა ის იხვი, მგელს რომ გადაარჩინა? დარწმუნებული ვარ, ასე იქნებოდა... ყველა სულიერი ერთმანეთს მტრობს, შენ კი მშვენიერი სურათი მოგიქარგავს...

გოგომ ბრაზით შეხედა მისიონერს, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, კვარი კედლის რგოლში გაამაგრა და სტუმარს ლოგინი უჩვენა თითით:

— აქ დანქით და ეს დაიფარეთ... — ნადირის ტყავი მიუთითა ალანძულმა.

ფრა ჯიოვანისი ცოტა არ იყოს გააკვირვა ქალიშვილის უქმენმა კილომ და დააპირო ეკითხა, რა განწყობინა, მაგრამ მხოლოდ თავი გადააქინა — თითქოს იმის ნიშნად, რომ ქალიშვილის გუნება-განწყობის უეცარ ცვლას მაინც ვერ მიხვდებოდა და გოგოს მადლობა მოახსენა, მერე კი, როცა ის გავიდა, დინჯად გაიძრო სამოსი და ლაჭანზე მიწვა, ჩაიფურთა ტყავებში, თან ცალი თვალთა ნახატს აჰყურებდა, თითქოს ახლა ამასაც უკვირს, ირმის მოდარავე მგელი რას გაუოცებიაო...

ოთახს სუსტად ანათებდა კვარი და გარედან წვიმის შრიალი ისმოდა. ნადირის ტყავებში გახვეულ ფრა ჯიოვანისი ჩასთბა, მოდუნდა და რული მოკრიბა... კარგი იყო ასე ნოლა და ნეტარმა სიმშვიდემ, უცებ რომ ეწვია, მისიონერს ყინი მოსწყვიტა, ფიქრი გაუქრო და მანაც ბედნიერი ბალღით ჩაიძინა — უსიზმროდ, რალაცნაირ ყურ სიმსუბუქეში, თითქოს დედის სამოში

თვლემსო... ასეთი სიმშვიდე ჯერ არ განეცადა — არც მორეულ მონასტერში, გადასახლებისას, და არც ლოცვისა თუ მისტიური აღგზნების ჟამს, როცა გულით ეწადა სამყაროს შემოქმედს მიახლებოდა... ნუთუ არსებობა ასე იოლიაო, უკვირდა უკვე ძილად წასულს, ქუთუთობებოხუჭულს და ეს განცდა ეოცებოდა, ეუცხოებოდა, ვაითუ ყოველივე მხოლოდ სიზმარი და მოჩვენებაა და მე ცდუნების მსხვერპლი ვარო... მაინც უმფოთველად დაეძინა, ოღონდ ხანდისხან კი გაკრთებოდა იმის მოკიჟულ თვალთა წინაშე მრუმე აჩრდილი, მძინარემ მოთვალთვალე ნადირს რომ მიამსგავსა და რალაც უცნაური ძალით, იმ ნადირს კაცის სერნანრიც ჰქონდა — ვილაც ძალზე ნაცნობი, ახლობელი ადამიანის ნიშატი სდევდა თან, მაგრამ ფრა ჯიოვანისი ვერ და ვერ ამოიცნო, რუხი ლანდი ვის ჰგავდა...

დლით მაინც ხალისიანად გაედვიძა, იმის მიუხედავად, რომ ბუნდოვანი შეგრძნება აჰყვა გაურკვეველობისა და კარგი ამბავიც ვერ დაახვედრეს — წვიმას ჯერაც არ გაუღო და წასვლა ისევ შეუძლებელი იყო... ფრა ჯიოვანისი არ გაუნანყებია ამინდის ჭირვეულობას, რაკილა ზეგარდმო მინიშნებად მიიღო წვიმაცა და უამინდობაც, ალბათ ჩემი ვალია აქ დავრჩე და მისიონერობაც აქვე განვაგრძო... მეგზური მოსაკლისა და იმას გამოჰკითხა, გარეთ რა ხდება, რა ამბავიაო... მეგზური გვიან ღამემდე შეჰყოლოდა მასპინძელთან ქეიფს და ნამთვრალევი, უგუნებოდ აპარ-

რებდა... გულსაბნევი ქალის თავს გამოსახავდა, უცელოდ რომელიღაც ანტიკური ქალმერთის ალეს, თუმცა ფრა ჯიოვანისი არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნდა, ეს უფრო მედუზა გორგონას თავი უნდა იყოსო... ნივთი ჯიბეში ჩაიდო და თავადაც ქვემოთ ჩავიდა, რათა მასპინძლები ენახა და თავისი გადაწყვეტილება ეცნობებინა, ვრჩებიო... როდი ეეჭვებოდა, მასპინძელი უარს არ ჰყოფს ჩემს არჩევანს და მეც საშუალება მომეცემა მისიონერული მოღვაწეობა განვაგრძოო...

მართლაც, ისე მოგვარდა ყოველივე, როგორც სურდა: მასპინძელმა არათუ უარი უთხრა, პირიქით, დიდად გაიხარა სტუმრის განზრახვით, კიდევ რამდენიმე დღით დარჩენილიყო და აქაურ ადათ-წესებს გასცნობოდა (ასე აუწყა თავისი გადაწყვეტილება კვალის დასაფარავად ფრა ჯიოვანისი მამასახლისს); შემდეგ კი ცოლს უხმო და უბრძანა, ფრა ჯიოვანისი ყოველი სურვილი ისე აესრულებინა, რომ ამას გულნაკლულობა არაფრით ეგრძნო... ფრა ჯიოვანისი თავმდაბლობა გამოიჩინა: ბევრით არაფრით შეგანუხებთ, ოღონდ მუშაობისათვის დრო მჭირდება და იქნებ სადილ-ვახშიში ზემოთ, ოთახში ამომიტანოთ ხოლმეო...

— მაგაზე იოლი რა არი, სტუმარო, — უთხრა მამასახლისმა, — ჩემ ქალაშავა მოგანვდის საზრდელს...

— ოო, კარგი ქალიშვილი გყავთ... რა ჰქვია?

— მზექალი.

— ესე იგი, ჩვენებურად ლუჩია... — ფრა ჯიოვანისი ნუთით ჩაფიქრდა და მერე უეცრად წამოძახა, — გაიმომიზავნეთ, წერაკითხვას ვასწავლებ...

— აბა რა გითხრა, სტუმარო...

— არა, არა, ნუ გერიდებათ! ყმანვილი ქალია, ცოდნა გამოადგება, ვინ იცის, დიდგვაროვანსაც მიათხოვოთ ვინმეს და წასწავლობა დაუფასდება.

ამაზე მამასახლისმა მიუგო, ჩვენში ქალებს ასე როდი ვანებებებთ და ეგეც არ იყოს, ქალის მშვენება მისი ხასიათია და არა სილამაზე ან წასწავლობაო, მაგრამ ფრა ჯიოვანისი დაუწინა, ლუჩიას (უკვე ამ სახელით მოენათლა მასპინძლის ქალიშვილი) წერა-კითხვა ხელს არ შეუძლის, სხვა სათნოებებიც განივითაროს, მე კი არ მიმძიმს ჩემი კეთილისმყოფელის ასულს დავეხმარო... საბოლოოდ, შეთანხმდნენ, რომ ლუჩია ხანგამოშვებით ივლიდა ფრა ჯიოვანისთან წერა-კითხვის სასწავლად, სამაგიეროდ კი, მასპინძლები ვალში რომ არ დარჩენილიყვნენ, აქაურ წეს-ჩვეულებებს გააცნობდა მისიონერს...

მამასახლისი ველარას შეედავა და შეთანხმებაც დაიდო: იმ დღიდან ლუჩია დილასალამოს ფრა ჯიოვანისთან იყო, ხარის ბეჭზე ნახშირით ასოები გამოჰყავდა; მისიონერი სხვადასხვა სულის საცხოვნებელ საგნებს აცნობდა, შეპარვით კი რწმენაზე ესაუბრებოდა, მაგრამ გოგოს საღვთისმეტყველო მცნებებზე მეტად ფრა ჯიოვანისი მშობლიური ქალაქის ამბები აინტერესებდა:

— მითხარით, პადრე (ლუჩია უკვე ასე მიმართავდა მისიონერს), თქვენში როგორი სახლებია და ქალები რას იცვამენ...

— ეჰ, ლუჩია, რა სულსწრაფი ხარ... სხვა რამ იფიქრე!

— რა, პადრე?

— ის, რომ თავმდაბლობა და სიღარიბე უფრო მეტად გვამშვენებს, ვიდრე ფუფუნება და უქმი გართობა... ადამიანის ქვემარტივი სამკაული-შრომა...

ლუჩია კი ყურსაც არ უგდებდა მისიონერს:

— მართალია, რომ თქვენში დანა-ჩანგლით სჭამენ და ბაბბის თეთრეულზე სძინავენ? მეგზურმა მითხრა, ცხენებზე ურმებით დადიხართ თურმე და ქალებს ბატისტის საცვლები აცვიათ.

— მართალია, — წარბმეკვრით დაუდასტურა მისიონერმა, — არათუ ეტლებით დაქრის ჩვენში თავქეიფა ხალხი, არამედ თეატრშიც დადის.

— აბაიმე! თეატრი რაღაა?

— საგანგებო სახლი, რომელშიც კაცის ცხოვრების სხვადასხვა ამბები თამაშდება...

ფრა ჯიოვანისი უხალისოდ მოუთხრო გოგოს, თეატრი რა იყო და რას იქმოდნენ მსახიობები... ისიც განუმარტა, სცენაზე იმიტომ თამაშდება ცხოვრებისეული ეპიზოდები, მაყურებლისათვის სანიშნო და შემაგონებელი რომ იყოს და ყველამ მორ-

ალური შინაარსი დაინახოს ამით... ყველაზე ხშირად კი ნაირ-ნაირ სასიყვარულო ისტორიას უჩვენებდნენ თურმე ხალხს, რადგან ახალგაზრდობას ეს მოსწონს და ხალისითაც ადევნებს თვალს შეყვარებულთა ამბავს, რაღაი სიყვარული ცერცვტა ყმანვილებს ცხოვრების უმთავრეს მიზნად მიაჩნიათ... ნამდვილად კი ვაჟისა და ქალის ურთიერთობას მაშინ ჰქვია სიყვარული, თუკი ეს სიახლოვე ხორციელ კავშირს არ ემყარება...

ლუჩია თვალგაფართოებული უსმენდა და უცებ თქვა:

- ჩვენშიც ეგეთი წესია, პადრე...
- ჰოო? — უგულისყუროდ გამოეპასუხა ფრა ჯიოვანი, — აი თურმე რა... მერე და რა ჰქვია მაგ წესს?
- სწორფრობა.
- აჰა... არ მსმენია... მაინც როგორია ეგ წესი თუ ჩვეულება?
- ქალი თავისი თემის ან სოფლის ვაჟებიდან ნანდაურს ირჩევს და იმისი ერთგულია სიცოცხლის ბოლომდე...
- ნანდაურს?
- ჰო. ისინი სწორფრები ხდებიან, პადრე, თუმცა სიყვარულის ნება არა აქვთ... როგორც ცოლ-ქმარისა, ისეთის, — ლუჩიამ ფრა ჯიოვანის სახე მოარიდა და გვერდით გაიხედა, ფრა ჯიოვანი კი შეჩქვიფდა და ცოტა ხანს სდუმდა, შემდეგ ტურნები მომუნა და წარბებიც მოელუშა:
- ლუჩია, ეგ შენ არ შეგფერის...
- რატომ, პადრე?
- იმიტომ, რომ... — ფრა ჯიოვანის ენა დაეხა, — იმიტომ, ლუჩია, რომ სხვა რამეზე უნდა იფიქრო.

ლუჩიამ ხმა არ გასცა. ფრა ჯიოვანი ერთხანს შეფარვით უჭვრეტდა გოგოს, მერე განგებ რიხიანად ჰკითხა, სწორფრობა ვის შეუძლია და თხოვდებიან თუ არა ასეთი ქალები ან ვაჟები ცოლს თუ ირთავენო, რაზეც გოგომ მიუგო, ნანდაურებს ერთმანეთის შერთვა არ შეუძლიათ, თორემ ცალ-ცალკე ორივე ქორწინდებაო...

- შენ თუ გყავს სწორფერი?
- არა, პადრე, მაგრამ მინდა, რომ მყავდეს და მგონი ვიპოვნე კიდევც...
- ალბათ ვინმე აქაური ჩაუქი ყმანვილი, ბედაურს მარჯვედ რომ დააჭენებს და თოფსაც მიზანში ისვრის, — ღიმილით გაანყვეტინა ფრა ჯიოვანი და უცებ გაიფიქრა, ლუჩია რაღაც არანამდვილს და გაუგონარს მეუბნებაო...
- არა, პადრე, ვერ გამოიცანით.
- ჰო, მივხვდი: მეზობელი თემის მდიდარი გვარიმევილია...
- ის აქაური არ არის, პადრე.
- აქაური არ არის? სად შეხვდი მერე უცხო კაცს, ლუჩია?
- თვითონ მოვიდა ჩემთან.
- თვითონ? როდის?
- ერთი კვირაც არ იქნება... ღმერთმა გამომიგზავნა სწორფერად.
- აჰა... მამ ვინ არის, არ მეტყვი?
- შენ, პადრე.
- მე? — ფრა ჯიოვანის თითქოს მეზი დაეცა, — რას ამბობ, ლუჩია!
- არ გინდა ჩემი სწორფერი იყო? — გოგომ მწვანე თვალები მოწკურა და მისიონერს ავად შეაჩერდა. ფრა ჯიოვანიმ უხერხულობა იგრძნო და ჩაახველა.
- ეგ რა გიფიქრია, ლუჩია, — თქვა მერე, — მე ღვთისკაცი ვარ, უბინოების აღთქმა მაქვს დადებული.
- სწორფერნი ცოლ-ქმარნი არ არიან, პადრე.
- სულერთია, სიყვარული შორს არის ჩემგან.
- რატომ, პადრე?
- ღმერთს ვემსახურები.

ლუჩია უცებ მკლავზე მოექცა და მისიონერს.

- ნამიყვანე, პადრე, შენს ქვეყანაში!
- ლუჩია, ეგ არ მოხდება...
- იქ შეგიძლია ცოლად შემირთო, — არ ეხსენებოდა გოგო, — თუ გინდა მთას იქით გავიქცეთ, ბილიკები კარგად ვიცი!
- ლუჩია, მე შენი ქმრობა არ შემეძლია.
- თავს არ ვიცოცხლებ! — შეჰყვირა გოგომ და წამოხტა, — ცოლდე, ჩემი ცოდო შენ აგვიკიდება!
- ლუჩია, დანყნარდი.
- ფრა ჯიოვანიმ ხელი გაინთავისუფლა და გვერდით მიდგა, რათა დაშორებით ეცადა, გოგო დაემშვიდებინა, მაგრამ ლუჩიამ არ უსმინა — მისიონერს მძულვარედ შეხედა და ოთახიდან გავარდა, ფრა ჯიო-

ვანი კი ფრიად შეწუხებული დარჩა თავის სამყოფში, იმის ფიქრით გათანგული, თუ რა ელოდა ესოდენ მოულოდნელი შემთხვევისათვის... ის დღე მეტად მჭმუნვარედ გალია და წვიმა რომ არა, საღამოსვე სოფელს გაეცლებოდა (ფრა ჯიოვანის არც-თუ უმიზეზოდ გული ცუდს უთქვამდა), მაგრამ ამისთანა მერეხში ორ ნაბიჯსაც ვერ ნადგამდი, სადმე ღარტაფში არ გადაჩვილიყავი ან ჭიუხიდან უფსკრულში არ ჩახაფრულიყავი... მეგზურს მაინც უბრძანა, სახვალად გამზადებულიყო და ადრე დაწვა, რათა დილა-ბნელზე გაღვიძებოდა და ადრეინად წასვლა მოესწრო, თუმცა ვერ დაიძინა... ლოგინში წრიალებდა და სიბნელეს ამტერდებოდა, თითქოს იქიდან მოელოდა ხსნას და არ გაჰკვირვებია, როცა იმ წვეკარამში რუხი რამ ლანდი აიძრა და მოუახლოვდა... ფრა ჯიოვანი უნებურად კედელს აეკრა, მაგრამ მიხვდა ლანდს ვერ გაექცეოდა და გაყურდა, გატვინდა მოლოდინით შეჩქვიფებული... გოგო კი თამამად მივიდა და ლაჭანზე ჩამოუჯდა, მოხვია ხელი, მკერდს მიიხუტა... ფრა ჯიოვანი გრძობდა იმის ნორჩ სხეულს, მძაღვე სუნს (ყველისა და ხაჭოს სუნი რომ მოაგონა), ნეტარ სიმხურვალეს და წუთით მოიშალა, მოირღვა ტანში, მაგრამ წლობით გამონრთობილი ნებისყ-



ოფით უცბადვე სძლია ცდუნებას და ლანდს განემორა... გოგოს კრინტი არ დაუძრავს, სანამ ფრა ჯიოვანი ქონის სანთელს აანთებდა კიდობანზე დადგმულ საშანდლეში, მუდამ რომ თან დაჰქონდა, მაგრამ როგორც კი სუსტმა შუქმა იქაურობა გააცრიატა, ლუჩია წამოხტა და მისიონერს მუშტი მოუღერა:

- მოკვდები, მღვდელიო! — ნაუსისინა მჯილშემართულმა და თმაგანენილმა; თეთრ შალისპერანგა ლუჩია მოჩვენებას ჰგავდა და ფრა ჯიოვანიმ უნებურად უკან დაინია, რათა გოგოს თვალთაგან გადმოსულ ნაპერწკალს არ დაენვა...
- მოკვდები! — გაიმეორა ლუჩიამ და თითი მისიონერს მიაშვირა, — მამაჩემსა და ჩემს ძმას ვეტყვი, რომ გამაბახე და ისინი მოგკლავენ.
- ლუჩია, მისმინე... — წამოიწყო ფრა ჯიოვანიმ, მაგრამ გოგომ მჯილი ისევ შემართა და წყევლასავით საზეიმოდ გაიმეორა:
- მოგკლავენ!

მერე მოსხლტა და ღია კარში გავარდა. ფრა ჯიოვანის ეყურებოდა მისი შიშველი ფეხების ტყაპუნე ქვის კიბეებზე და გარედან შემოსული წვიმის ხმაური, მაგრამ წვიმას, სიმშვიდის ნაცვლად, შფოთი და ჯანყი შემოჰქონდა მის სულში... ფრა ჯიოვანი მცირე ხანს თავდახრილი აყურადებდა წვიმას, მერე კაბა და ფეხსაცმელი ჩაიცვა, სანთელი ჩააქრო და ხელის ცეცებით დაეშვა კიბეზე... უნდა გასცლოდა აქაურობას, უნდა გაეღწია როგორმე სამშვიდობოს და ამიტომ აღარც ბარგის წაღება მოჰგონებია, ეგრევე დანდობილად ჩავიდა ძირს და კერისათან მიწოლილი მეგზური ჩუმად გააღვიდა:

— ადექი, მივდივართ!

მეგზური შეიშმუნა... წინა ღამით მასპინძელთან ღრუბლას შეჰყოლოდა და აქვე დასძინებოდა, შუაღამოს; ამიტომაც ეძნელებოდა ძილსა და სითბოს განშორებოდა, მაგრამ ფრა ჯიოვანი დაიხარა და შეანჯღრია, თან დაჟინებით უმეორებდა, ადექიო, როცა სიტყვა პირზე შეახმა: კერიის იქით ვილაც შეინძრა და შეძრწუნებულმა ფრა ჯიოვანიმ ნაღვერდლის ათინათზე ლუჩიას ძმა იცნო, რომელიც წინა დღეს მობრუნებულიყო შინ... უკვე რამდენიმე დღეა ბიჭი სანადიროდ იყო წასული და უამინდობის გამო ვეღარ გამოეღწია სოფლამდე, სახუნდარში ათევდა ღამეს, თოფს მინდობილი, სანამ წვიმა შესუსტდებოდა და ისიც ნაცნობი ბილიკებით მოვიდოდა მამისეულ სახლში, სადაც ღრეობა გაუმართეს მშვიდობიანად გადარჩენილს... ბიჭს ფაფახი გადასძრომოდა და გადაპარსული თავი უჩანდა, სახეზე ცეცხლი დასთამაშებდა, ზედ ჩრდილს აფენდა და ფრა ჯიოვანისაც გული შეუხტა: თითქოს ვილაცას ჰგავდა ლუჩიას ძმა, ვილაცას აგონებდა, მაგრამ ახლა ამის დრო არ იყო, ბიჭის სადაურობა და წარმომავლობა ერკვია და მისიონერმაც კინწის კვრით წამოავდო მეგზური, კარში გაიყვანა... მამასახლისის ქვითკირში სიჩუმე იყო; ჩანს, ლუჩიას ჯერ არ შეესრულებინა



თავისი საშინელი მუქარა და ფრა ჯიოვანისაც იმედი მოეცა, იქნებ მდევარს გავასწროთო... უკვე თენდებოდა, მთის წვერები ნელი-ნელ შუქდებოდა და სავალი იხილებოდა კიდევ; სწრაფად თუ ივლიდნენ, მერე კვალის ასარეგად შეეძლოთ მთებს შეჰფარებოდნენ...

- პადრე, რა მოხდა? — ჰკითხა ნამთვრალემა მეგზურმა, რომელიც დილის ცივ ნიავს ახლა კი გამოეფხიზლებინა, — ამ დილაადრიან სად მივრბივართ?
- მისიონერმა ხმა არ გასცა და ნაბიჯს მოუჩქარა. მეგზური ძუნძულით მიჰყვა, მერე უცებ შეჰყვირა და კოჭზე იტაცა ხელი.
- უჰ, პადრე, ფეხი ვიღრძე მგონი... ვეღარ მოგდევთ.

ფრა ჯიოვანი შეჩერდა. მეგზურს უაზრო თვლით უყურებდა, თითქოს არც ესმოდა, ის რას ეუბნებოდა; მერე, როცა მიხვდა, რა მოსვლიდა, ზიზღით თქვა:

- შენ აქ დარჩი, ხიფათი არ გელის... მარტო წავალ.
- დაილუპებით, პადრე, ამ მთებში გზას ვერ გაიგნებთ... სად მიდიხართ?
- ფრა ჯიოვანი უხმოდ მიბრუნდა და აღმართს შეუდგა, უკან აღარ მოუხედავს, რათა ლოდზე ჩამოგდარი მეგზური არ დაენახა და იმასთან ერთად — სიბი ქვით ნაშენი მთიულური ციხე-კოშკი, უტყვე მუქარასავით რომ ამართულიყო ალიონის ნისლში...

უღელტეხილი თითქოს ახლო იყო, მაგრამ რაკი გზა-ბილიკი არ იცოდა, ფრა ჯიოვანიმ ნაშუადღევამდე ძლივს უნია იმ ქედის შუანელს, რომლის გადავლასაც ფიქრობდა განტოლვილი... აღარ წვიმდა,

მაგრამ სიარული ჭირდა, რადგან მზეს ვერ აეშრო გუმინდელი სისველე და მისიონერსაც დიდი ჯაფა დაადგა, როგორმე ჭიუხებამდე რომ აელწია... აქ შეჩერდა, სული დაილო, კლდის პირას ჩამოჯდა და ფეხსაცმელებიდან ტალახი ჩამოიწმინდა... კაბაც დასველებოდა და ამძიმებდა ესეც, თითქოს სავაგლახოდ გახდომოდა ჩვეული საბოსელი... უნუგემოდ გადაჰყურებდა ზემოდან მთის უბეში მიყუჟულ სოფელს, საიდანაც ჩამიჩუმე არ ისმოდა... ნუთუ არავინ მოსდევს? იქნებ ტყუილად იჩქარა და ლუჩიას არც უცდია, მისთვის ცილი დაენამებინა?! იქნებ ტყუილად გაურბის ამაო შურისძიებას, მაშინ როცა ლუჩიას ძმას ტკბილად სძინავს ცეცხლთან და არც კი ესიზმრება, თუ ფრა ჯიოვანი კლდე-ღრეს მიიბლოტება შეურვებული?!.. ჰო, აჩქარდა, ალელდა და პატარა ბიჭვით აჰყვა ლუჩიას თამაშს, გოგო კი ეხუმრა ალბათ... ფრა ჯიოვანის უცებ მოეჩვენა, რაღაც უნამდვილო როლს ვასრულებ და ლუჩიაც, მგონი, ჩემნაირი სტატისტი უნდა იყოს — იმის მსგავსი, მშობლიური ქალაქის სცენაზე რომ მინახავს ბევრჯერო, და ამ უნიადაგო ფიქრმა წუთით დაამშვიდა; ისიც კი განიზრახა, შევისვენებ, სულს მოვიტყვამ, კაბას გავიშრობ და სოფელში დავბრუნდები ხელნაწერების წამოსაღებად... ხელნაწერები მისი ჭეშმარიტი სიმდიდრე იყო და მუდამ ეიმედებოდა — ესენი არ ტყუიანო... ნამოდგა, კაბა გაიფერთხა, ჭუჭყი და მნიკვლი მოიცილა და ვინრო გასასვლელით ბილიკისკენ გაემართა, როცა უნებურად ქვის ხრილმა შეაკრთო: სცენისებურ ბუნებრივ ბაქანზე, სადაც აქამდე იდგა, ცხენ-კაცის ლანდი აღმდართა უცებ... ფრა ჯიოვანის წამით მოეჩვენა, კენტავრს თუ გხედავო — ისე უცნაური იყო ცხენისა და ადამიანის ერთმანეთს შერწყმული ფიგურების ხილვა, ოღონდ როგორც კი ჩვენებას ნისლის ნაკუთალი ჩამოსცილდა, თითქოს გამჭვივრვალე ფარდა გადასწივსო, მისიონერმა ლუჩია დაინახა...

ფრა ჯიოვანი გოგოს გაკვირვებულ მიჩერდა, იმან კი დინჯად შემოიყვანა ჰუნე ბაქანზე და მისიონერს ზედ მიაგდო... ფრა ჯიოვანიმ უკან დაინია, მაგრამ ლუჩია ცხენს ფერდში ქუსლს სცემდა და კაცზე ისე მოინეგდა, თითქოს გადათელვა უნდოდა მისი...

— ლუჩია! — შეჰყვირა მისიონერმა და შენიშნა, რა დამცინავად დაელმიჭა სახე გოგოს... მწვანე თვალებში ისევ ზიზღი ეხატებოდა და როცა ჰუნე ზედ მიაყენა კაცს, მის ხელში მათრახმა იშხველა, მისიონერს გადაეწინა... ფრა ჯიოვანიმ თავზე ხელები წაივლო და მოიკუნტა, რათა მომდევნო დარტყმა აერიდებინა, მაგრამ ლუჩიამ უცებ ცხენი მოატრიალა და კვლავაც ბაქნიდან გასასვლელისკენ წაიყვანა...

— ლუჩია! — დაუძახა ფრა ჯიოვანიმ და ამ დაძახილზე გოგოც შემობრუნდა უნაგირზე, სწრაფად მოხედა. უცხო და უცნაური ველური მზერა გაკრთა მის აქატისფერ თვალებში და სანამ კაცი დაძახილს გაიმეორებდა, ლუჩიამ მათრახი უჭირა ცხენს და ჭენებით წამოიყვანა მისკენ, ფრა ჯიოვანის კი არც უცდია დაოთხილ ცხენს მორიდებოდა; ვინ იცის, ეიმედებოდა კიდევ, გოგო გადამქელავს და უფსკრულში გადაამჩუხავსო, მაგრამ გამოქანებულ, გაგიჟებულ ცხენს ლუჩიამ უცებ სადავე მოუნურა და ცხენმაც გვერდით ჩაუქროლა კაცს, სახეში დუჟი შეაფრქვია და ბაქნიდან გადაიხვეწა...

ფრა ჯიოვანის განწირულის კვილი შეესმა და ამან დააყრუა... უფსკრულს გაუბედავად ჩასძახა:

- ლუჩია!
- ხმა სუსტად გაისმა, უნიათოდ...
- ლუჩია, — გაიმეორა ფრა ჯიოვანიმ, უფსკრულს მოშორდა და ძირს დავარდნილი მზინავი ვერცხლის გულსაბნევი დაინახა; ასაღებად დაიხარა და ამ წამს აღმართზე ამომავალი ფაფახიანი მხედარი შენიშნა... ლუჩიას ძმა იცნო... ის ჩანდგომოდა კვალში. მისიონერმა გულსაბნევი თითებში მომუჭა, ასწია მჯილი, თითქოს ქვემოდან მომავალ მხედარს დაანახა და მომუშტული მარჯვენა გულს მიიხუტა... მერე უფსკრულს ზურგი აქცია, ამაყად გამიმართა წელში, მხნედ, ველარაფრის მილველი, თითქოს გონდაბინდული და მდევარს ელოდა...

ზედ ნამნამაზე მიზისარ

არც ყაზბეგის ხევისბერი, არც მატეო მერიმესი –
გალაკტიონს აფიქრებდა ერთადერთი მერი მისი –
ჯერ – ოლი და ოლოლი და მერე მისი მერმისი.
არც მტკვარი და თბილისი და ქალაქი და მერი მისი –
მე მაფიქრებს სხვა ფიქრი და დარდი არ მაქვს მე რამესი –
რადგან ჩემი ერთადერთი ზედ ნამნამაზე მე მიზის.

MEMENTO MORI!

ოთხმოცის შემდეგ უსათუოდ უნდა იფიქრო ბერობაზე
და სახელების აუქციონს უნდა მოუგო ტენდერი,
არ აურიო ერთმანეთში ბეროუზი და ბემურაზი,
აბესალომის ეთერი და ტელევიზიის ეთერი.
ოთხმოცის შემდეგ ანდერძის და აღსარებისთვის აღიძარი:
სარაჯიშვილის ქუჩა მოდის ქუთაისიდან ამ ორთან,
ასტროლოგს ნულარ შეანუხებ,
ფრთხილად დაქოქე მალეძარა,
არ დაგავინყდეს რამდენიმე გამოთიშვა და გამორთვა.
არ დაგავინყდეს რვაჯერ ათი, ოთხჯერ ოცი და ასე შემდეგ,
გახსოვდეს ორჯერ ორმოცი და ასს გამოაკლე ოცი და
დაიზვიპირე ცისარტყელა აქედანა და აშეშემდე,
არ დაივინყო, ბიჭვინთაში ზღვა მინას როგორ კოცნიდა.
დროშები ისევ აფრიალე, ხომალდი აქე აფრიალი,
კოცონი ისევ აბრიალე, ქარვასლა აქე აბრიალი,
მისტრალიც აქე გაბრიელა, მარკესიც აქე გაბრიელი,
მიქელ-ანჯელო აღიდე და: გახსოვდეს მიქელ-გაბრიელი!

ერთხელ მე ერთმა ფეხი დამიდო,
მაგრამ მეორემ ორჯერ დამინდო.
არ მინდა მეტი ცოდვა დავიდო,
მინდა ცოტახანს წავიდავითო.
თუმცაღა გული ველარ დავედე,
ვერც ვარაუდი ვივარაუდე.
სტუმარი ბევრზე ბევრი დამიდის,
მიუხედავად ცუდი ამინდის.
ერთხელ კიდევაც გამათამადე:
ხელი დამადეს, ვალი დამადეს,
და, რაკი დიდი ვალი დამედო,
გაფელანგე ჩემი სამესამედო,
და ტვინმა მეტი ველარ მოტვინა,
არ მეხერხება კერპის დიდება,
არ მევასება გილიოტინა
და მითუმეტეს – თავის დადება.
არ მიყვარს საქმე გადადებული,
არც ფეხი ფეხზე გადადებული...
ღმერთო, გვალირსე კაცი – დემეტრე
თავდადებულზე თავდადებული.

აკლია! — ბევრი ამბობს და არავინ ამბობს: მაკლია! —
საქმე კი, ჩვენში დარჩეს და, შენ რომ იფიქრე, მაგრეა.
თუმცა მთავარი ეგაა, როგორ გადაწყვეტს დემოსი,
რომელიც ვიზებს არიგებს სამოთხე-საედემოში.
არადა, ოქროს შუალედს რომელმა უნდა მიაგნოს,
რომელი დაგვიდასტურებს განაჩენსა და დიაგნოზს?
შენ თვითონ უნდა განსაჯო, ტეტიაა თუ გაგრია,
და, ვიდრე თვალს არ გაკლია და, ვიდრე ყურს არ გაკლია,
შენ უნდა დაუხარისხო შენი კეთილის მსურველებს,
რომელი სულელია და რომელი მოისულელებს.
გამოიწვევს და აჯობებს მეზობელს სხვა მეზობელი,
შერეკილს – შერეკილები და ნუთისოფელს – სოფელი.
ეგლა აკლდათ და აკლდება ნაგომარს ნაგომარელი,
ხან მიზეზ-მიზეზ ჩიტის რძე, ხან მიზეზ-მიზეზ მარილი,
და მუხიანი გასძახის ნიგვზიანსა და კაკლიანს:
რა ოხრად გვინდა სოფელი, სადაც არავის აკლია?!

თაბაშარი

უყვარს ოცნება უანკარესი,
ბევრჯერ აღმოჩნდა თამაშგარეში.
იზეპირებდა კარის კვადრატებს
და გოლს, რომელიც ყველას გვადარდებს.
სამჯერ გაუსკდა ერთი ნიკაპი,
სდუმდნენ „მსაჯები-საპოფნიკები“.
ვაჟკაცი ხარ და ნუ გაბრაზდები? –
სდუმდნენ „მსაჯები-პედერასტები“.
ვერ დაივინყა შარშანწინდელი
მეორე მწვანე ანუ წითელი.
თითქოს დემონი იდგა კარებთან
და არ უშვებდა თამაშგარედან.
მე კი – პოეტი საქართველოსი –
ამ ბურთს ვერ გავცვლი მაინც ლელოში
და ბურთის გიჟებს დავესესხები:
ქართველი მენა-ტრეზა მესხები.

ყველა გზა

ყველა გზა — ყველა სახლიდან და ყველა სალოცავიდან –
რომიდან წამოვიდა და პარიზისაკენ წავიდა.
სხვა გზა არც ჰქონდა ყველა გზას,
ეტლით და ტარანტასითაც –
ჩამოიცილა მეტოქე ყველა გზიდან და ტრასიდან.
სხვა სასურველი ირჩია, სხვა წყვილი, სხვა ლოველასი,
ყველა აქებდა ყველასებს, ყველას მოსწონდა ყველასი.



ჩვენსკენაც გადმოუხვია, ასცდა ვერანს და ვერაგსა,
ურემი გადაბრუნდა და მერე გამოჩნდა ყველა გზა.
საჭაერო და საზღვაო, საცალფეხო და სატივე –
ათი ყველა გზა გამოჩნდა და ჩვენსკენ მოდის ათივე.
ჩვენც დავადექით ყველა გზას და თუკი დროზე ჩავედით,
ყველანი დაგვილოცავენ ყველა გზასა და ჯვარედინს.
და თუ ყველა გზას მოგვიჭრის ვინმე და ნავა პირიქით,
ჯანდაბამდისაც ჰქონია ყველა გზა, ყველა ბილიკი.
იმათი დედაც!.. ჩვენ ჩვენსას მივდევთ და მივეჭენებით,
ვენიეთ ყველა ჩვენებს და გავიგნეთ ყველა ჩვენები.
გავხსენით რკინის ყველა და აბრეშუმისაც ყველა და
რომსა და პარიზს ვანიეთ ხატაეთი და ელადა.
მაგრამ თუ მაინც ოდესმე ყველა გზა გადაგვერახა,
მტერი ყველაფერს დაგვაკლებს
და ვერ გავხდებით ვერასა.

ბარბაცა

მომწონს შეკითხვა მოჭიდავესი:
— ნეტავ პირველად როდის დავეცი? –
და თუმცა არ ვარ მოჭიდავე და
არც კოლეგა ვარ მობურთავეთა, –
ვარკვევ არბიტრთან შესაბამისთან:
— პირველად ფეხი როდის დამიცდა? –
და როცა ცირა უკრავს არფაზე,
მესმის კაი ყმის კაი არია:
— პირველად მაშინ წაიბარბაცე,
როცა პირველად გაიარეო. –
და ვნუხ მოტივთა სიცოტავეზე,
და, რაც არ უნდა ბევრჯერ დავეცი,
მიზიდულობის ღმერთი დამიცავს
და ვერ ავცდები ამ დედამიწას.
ჯერჯერობით კი მიმი დარბაზებს
მახარბებს და თან მიმაბარბაცებს:
— მორჩაო შენი პარპაშ-პარპაში,
დაგრჩაო ბარბაც-ბარბაც-ბარბაცი. –
და მე იმედის არგანს დავექებ,
უკანასკნელად რომ არ დავეცი,
და მეკითხება უზეშთაესი:
— როგორ ადგები, თუ არ დავეცი?!

ჰიპერტონია

მეტი, ვიდრე ხმლების მიმოქნევამ,
დაანვინა, დააძინა წნევამ.
აღამს გვიან გაუსინჯა ევამ,
ნესტანს ამცნო ტარიელის თნევამ.
კრიზისივით აედევნა კრიზი,
მაგრამ ვერსად დაემალა კრეზი.
არ ანსხვავებს ტირესა და დეფიზს,
არასოდეს არ ანუხებს დებილს.
ტრიბუნალი სასჯელს ანაწევრებს:
უჩივან მანანნალა წნევებს.
მე კი ზონა მიცავს ფორს-მაჟორის –
მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის.

სახიფაოა ხმალი შიშველი,
სახიფათოა ქალი შიშველი, –
შენ თვითონ თუ ვერ მოიგერიებ,
მე, რა თქმა უნდა, ველარ გიშველი.
ქუჩაში თუკი შეგხვდა მაღალი
ანდა მორჩილი ანდა დაბალი, –

არ ენდო, შენი რაიმეები
თოვლში დამარხე ანუ დაფალი.
შენ ერთმანეთში არ აგერიოს –
ესე იგი და მაშასადამე,
ისე გიყვარდეს ადამიანი,
როგორც უყვარდა ვაჟას ადამი.
დათმე არამედ, დათმე დიალაც.
დათმე კიდევაც ანუ კინალამ,
რასაც ვერ დათმოვ, მერამდენებს
იისფერ თოვლში გადაგინახავ.
ალარასოდეს არ გაიმეტო
ორი და ანუ ორი დობილი:
თავდადებული თანდებული და
დაბალ-დაბალი შორისდებული.
აქე კვადრატი საკურთხევისა
და ამბიონის აქე ოვალი
და ვიდრე გწყალობს გარდამავალი,
ვერ მოგერევა გარდაუვალნი.
მაგრამ გახსოვდეს: საბედისწერო
დისონანსების ბალავერზეა
დაშენებული თურმეთობის
სამასსამოცდახუთი ვერსია:
ერთი ეგების შეგხვდეს გენია,
ორი ეგების შეგხვდეს დაუნი, –
მაინც მიწიერს ნააჭარბებენ
საზეონი და საზედაონი,
სადაც პატარა სისულელეს და
სისულელეებს ალარ სჩადიან,
ხოლო მზეები ისე ჩადიან,
თითქოს უკანასკნელად ჩადიან.

ოთხმოცდაათი გრადუსით შემობრუნეს პროფილი,
როცა ქუჩებში გამოჩნდა უნომრო ავტომობილი.
მაგრამ გულგრილად უმზერენ ქალაქელი და ტეტია
და ყველა ზედამხედველი, – რაკილა ერთადერთია.
არადა, ბევრი დალუპა ერთების ერთადერთობამ,
ჩვენი კი ნომრიანებზე უპირატესად ერთობა.
მაგრამ ვაითუ მეორე!.. მაგრამ ვაითუ მესამე! –
ამ ჩვენსას გამოარჩევენ და არა სხვა რომელსამე.
ველარ წამოშეველება შორიდან შორი ალიბი,
ერთმანეთს გადაასწრებენ ერთბაშად შურიანები
და სვეტაფორთან გაშიფრავს ნომეროსანთა ელიტა,
რომელიც ასეთ შემთხვევას ალარ გაუშვებს ხელიდან.
მაინც რომელი სჯობია, რომელი რომელს სჯობია, –
დამალვის ფილოსოფია თუ თვითონ დამალობია.
დანომრილ კანონიერებს ვერ უპოვნიათ ალაგი:
ვიდეოთვალებს აცეცებს ქუჩა და მთელი ქალაქი.
ჩვენი რჩეული – მაცთური რიცხვების ლოველასია,
სხვა ავტო-მოტო-ველოთა ლექსში და ნოველასია.
ჩვენი მორჩილი – ზოგისთვის თავხედია და ნაგლია,
და რაც აკლია, ეს ერთიც ჩიტის რძესავით აკლია.
იტაცებს აკრობატული ნომრების ნომინაცია
და არა ლათინურებთან მიჯრილი ნომერაცია.

ტიტაპი

ერთბაშად ამოვენერე ამპარტავანთა ამქრიდან:
დენზე მიბმული ნაგავი ცოლმა შიდასივით ამკიდა.
ბოდიში! თითქოს დაღამდა, ცა თითქოს ნისლმა დანისლა:
ვეჩალიჩები მონოლოგს ჩატანა-არჩატანისა.
ამაოდ ველი, ნუგეში ალარ ჩანს ალარსაიდან:
სხვებს ჩააქეთ, შენც დედიშენის შვილი ხარ და არ ჩაიტან!

თუმცაღა გამონაკლისი მომსება არსაიდანაც:
 რა ჩინ-მედლები დაჰკიდეს, რომელმაც არ ჩაიტანა?!
 ვიდეოტელეფონი და რამოდენიმე ვიდეო
 მაძალებს: როგორც აკვიდეს, შენც ისე დაიკიდეო.
 არავითარი კანონი არ ანამუსებს დიაცებს:
 ლამის ტრაქტატი დავწერო ბუნკერის ამნისტიაზე.
 დენო, დაეხსენ ნაგავსა! ყველანი დავიღუპებით,
 თუ არ გავთიშეთ სიამის თანამედროვე ტყუპები.
 შიშმა დენივით მიიბა ბრაზი და მონანიება,
 ეჭვი კი დამახსოვრებულ ჯარიმასავით მიემა.
 ჩატანა ჩასატანისა, ვითარცა დანამწამება,
 აღსრულდა, გააგრძელა და წააგრძელა და წამაბა.
 გადამავეწყდა თანდათან ყველა ვნება და ეროსი,
 ჩატანა არ მავინყდება, მაგრამ ჩაგდების სკლეროზი?..
 თქვენ კი ყოველთვის მახსოვხართ, ტიტებო ანუ ტიტანო,
 ეს უნდა ჩავიტანო და თქვენ უნდა ამოგიტანოთ,
 რათა ატანა-გატანა-ჩატანის უთანხმოებას
 თავი და მოზოდისების გარემოება მოეხას.

 შეხედა ქალს და აიკვიტა:
 — კაი კია და!.. კაი კია და!..
 ნაიკაიფა კაიფიანთან:
 — კაი კია და!.. კაი კია და!..
 კერპი დიადი ვაიდიადი:
 — კაი კია და!.. კაი კია და!..

სხვა შაირი დაიდა,
 სხვა ზმა, სხვა ლათიაი:
 — რაც კაია, კაია და,
 რაც ცუდია, კაია!

ინტიმური ლირიკიდან
 ქალს რო მკერდი უცახცახებს,
 მავან-მავანს უძახძახებს,
 წინ საკინძეს გადაიხსნის,
 გადაისვრის უკან წაღებს,
 ტელეფონებს გამოთიშავს,
 ჭალს ჩააქრობს უჭაღჭაღებს,
 სხვა სტუმარს და სხვა მეზობელს
 კარებს გადაუჯახჯახებს,
 მხოლოდ იმ ერთს გაუჩაღებს
 ცეცხლს და ისე უჩაღჩაღებს,
 სიზმრად არ მოელანდება
 რომელიღაც უჩა ჯაყელს.

გამოქანებით
 დატაქსაობს მეტაქსე და ქუჩის ჭორებს აქუჩებს,
 დახატულებს ველარ იტანს ნამგლებსა და ჩაქუჩებს.
 ხოლო ქვაზე ამოკვეთილს მითუმეტეს ვერ იტანს,
 ალაგ თვალი მოარიდა, ალაგ გამოერიდა
 და უარესს შეეტენა – საცობებს და მიტინგებს
 და წყეული სპიდომეტრი დგას და აღარ ტიკტიკებს.
 ეს კი – გადამონმებული მისამართის თანხლებით –
 (ხელს ვერავინ ვერ დაუქნევს!) — დადის გამოძახებით.
 აქებს ცხენისძალოსანს და ტაიჭივით აჭენებს
 და აღრიცხავს მგზავრებს შორის
 მხოლოდ ზემორაჭველებს.
 ახსოვს აქეთ ათასი და იქით – ათასერთი და
 ლტოლვილია ღებდან და არა აფხაზეთიდან.
 ენატრება მშობლიური ღები ანუ ზე-ღები:
 ბალახები ცვრიანები და შიშველი ფეხები.
 მისი ბოლო გაჩერებაც მშობლიური ღებია,
 ვიდრე მიქელ-გაბრიელს არ გამოუძახებია.

დიდება შენდა, პამპირსო!
 პამპერსო, ვიცით, რანაირიც ხარ:
 ავტოკრატია გეთაყვანება:
 გამოირიცხე და გამოირიცხა
 პრეზიდენტების გადაყენება!

საგჟოთა კავშირის მოკლე ისტორია
 ესე მთა და ესე სერი –
 ერთდროს იყო ესესერი.

ერქვა: სესერეკა!
 იყო: სოსორეკა!

ლუდს მოითხოვდა სოსისი,
 ტაშებს – ძეგლები სოსოსი.

გვაფრთხილებდნენ: სუ! სუ! სუ! —
 არ ენყინოს სოსოსო.

გაისმოდა: sos! sos! —
 არ ესმოდა სოსოს.

სწუხდა დავით კაკაბაძე:
 ეჭვი ჰქონდა კაგებზე.

შაშვს შეება კაკაბი:
 ფეხზე დადგა კაგებზე:

ვის სასახლე აგებინეს,
 ვის ჩიჩია აკეპინეს,
 ვის კერპები აქებინეს,
 ვის პასუხი აგებინეს, —
 თუ ვერ გაა-ცა-გებინეს,
 უმალ გააკაგებინეს.

გაისმოდა: სოსო რეკავს! —
 არ ეძინა სოსორეკას,
 ესე იგი – სესერეკას
 ანუ ანტისექსერეკას.

ცოტა მეტი გაგებდა:
 დარეკავდნენ კაგებებიდან!

პოლიკარპე კაკაბაძეც
 ყოყმანობდა კაგებზე.

გაისმოდა: sos! sos! —
 არ ესმოდა სოსოს.

დაიდრა: ასმა იასა! —
 დაენძრა სოსოიასა.

ვარდებს დაერქვა სასილოსე —
 სოსიკოსი და სოსელოსი.

მორჩა ამათი სეზონი:
 სოსოებს მიჰყვინენ სოსონი.

მოეხაზა სისულელეს
 და სოსელოს სასოსელოს.

ერქვა: ესესერი!
 არის: უსუსური!

ურნაშენი თომა
 კეისრისა და კეისრის, კაცის და კაცის გარჩევა
 ვერ ისწავლა და ვერც ზღვაზე ვერ გაიარა...
 — არ მჯერა!

მარცხენაზე რომ შემოჰკერეს, არ მიუშვირა მარჯვენა
 ლოყა და არ შეიყვარა მტერი თავისი...
 — არ მჯერა!

ვერც ხუთოდე ლავაშით ხუთი ათასის მარჩენალს
 ვერ გაეჯიბრა და ვირზეც ვერ შეჯდა...
 — არა, არ მჯერა!

წყალი ღვინოდ ვერ აქცია იმყამად, ხოლო ამჯერად
 ბრმას თვალი ვერ აუხილა...
 — არ მჯერა, მაინც არ მჯერა!

მუნჯს ვერ აუდგა ენა და იმიჯის გადასარჩენად
 ვერც მომაკვდავი განკურნა...
 — არ მჯერა, არა, არ მჯერა!

ვერცერთი მიცვალებული ვერ გააცოცხლა ჯერაც...
 — არა და არა, არ მჯერა!

— მიგვიშვით, ვისაც გვჯერა!

 რომელიღაც რომელიმემ
 რომელიღაც რომელსამე
 ჰკითხა: რად არ მომელი მე
 ანდა რად არ მომესალმე?
 უპასუხა რომელიმემ:
 გირჩევ – დაუცხრომელი მე —
 მიათვალე რომელსამე
 მომეორე – მომესამე!..
 მე კი ჩემი მერი მელის,
 მარა სხვების მერე მელის
 და არ ვიცი მე რა მელის:
 ნეტავ, მერი, მე რო მელის,
 გაიმეტებს მერამდენეს
 და აირჩევს მერომელეს?

 რა სიმდიდრეც გაგვაჩნია და რა განძიც გვიჩანს,
 მხოლოდ ორს ვერ შეველევიტ — ქვასანაყს და ქვიჯას.
 ვერასოდეს ვერ გათვალავს თვალი თვალბოროტის
 და ხელს ვერვინ მიაკარებს ფილთაქვას და როდინს.
 სულ ამაოდ გვიტევენ და სულ ამაოდ ყეფენ,
 ვერ დაგვიყადაღებენ და დაგვიყაჩაღებენ.
 თუნდაც გადაადგილონ მანსარდიდან სხვენზე,
 მაინც ხელშეუხლებელი რეზერვია: ენზე!

ბუმერანგი
 დამცინიან ლოთები და ქველოთები,
 მე კი ისევ ჩემს ბუმერანგს ველოდები.
 ვიცი, ყველას გაუმართლა იღბლიანებს,
 მხოლოდ ჩემი ერთადერთი იგვიანებს.

მე უფლება აღარა მაქვს დაბერების
 და არც მეტის... მაჩქარებენ ტაბელები:
 ნუ გვაფრთხილებ დავითით და საბათიო...
 მე კი სულ სხვა მიზეზი მაქვს – საპატო.

 დაწყვილდნენ პაატაები
 და სინანულის ტაეპი,
 რომელმაც ისე დაგაბა,
 არ იცი, როგორ დაები.
 მას შემდეგ შენი კაფია
 და შენი ბიოგრაფია
 დაცხრა და მონანიების
 ჯაჭვებით ისე აბია
 და ისე გეცოტავება
 და ისე გეუკვდავება, —
 ოცნებობ, კავკასიონზე
 ამირანივით დაება.

 დაბერდა, დაცხრა, დაკარგა სილაღე დარდიმანდის:
 ორი ყავარჯნით დადის და მაინც დადის და დადის.
 მაინც არ იტებს იხტიბარს, ახლაც ერევა ჩემდენს:
 ორი გრაფინი დაცალა ერთი ყავარჯნის შემდეგ.
 არავის ჩამორჩება და სახტად არასდროს დარჩება:
 ასე აგრძელებს ყავარჯენ-ყავარჯენ გაყავარჯნებას.



მის-მარბარიტა
 არც დიუმას მარგარიტა
 და არც ვერდის მარგარიტა,
 აღარც კონტრამარკანი და
 არც ვერიკოს მარგარიტა.
 არც ტეტჩერის (მაგალითად!)
 მაღამ ტუსოს მარგარიტა
 და არც იურსენარი და
 ბულგაკოვის მარგარიტა,
 არც მეგრელი-მარგალი და
 არც კახელი მარგარიტა,
 არც ცხრა ნაამაგარიდან —
 ერთიც — მარგო-მარგარიტა,
 აღარც მარგოს მარკანი და
 აღარც ტელე-მარგარიტა, —
 ფიროსმანის მარგარიტა.

ილია
 1907 წლის 30 აგვისტო

ნეტავ იმ დღეს საგურამოს ტყე ქარიშხალს შეერხია,
 საგურამოს მამულები ქარბორბალას შეერყია,
 გზა ნიაღვარს გადაეჭრა, ხიდი მენყერს წაელო და
 წინამურის შესახვევთან ეტლსაც ველარ შეეხვია.

დღესაც ღია ჭრილობაა, ველარავინ შეიხვია,
 მეოხნი და მოზარენი თავს ტაძრებში შეიყრიან,
 ყველგან ჩააბულბულებენ სინანულის სულთათანას,
 სადაც პატრიარქია და პატრია და შეიხია.

აუტანელს აიტანენ, წარბსაც კი არ შეიხრიან,
 ხუნდებს – ერთხელ აწყვეტილებს —
 აღარასდროს შეიყრიან,
 მწუხრის ზარებს დარეკავენ,
 მწუხრის მინორს დამარცვლავენ,
 მწუხრის გედიც დაიყვილებს (გედი იგი ზეიხვია).

ნაცნობი ხმა განიკითხავს მკვლევობებს და განაჩენებს:
 სდექ, მეეტლე! ეგ ცხენები გააჩერე, გააჩერე!

დასასრული
დასაწყისი №97-100

5. თომა

ძაძუძას ძმა პირველად მოლოკანმა ვალია ხამუტოვამ ახსენა. ქაქუცა რომ ჩემთან მოდიოდა (ვალია ამბობს „კაკუც“), მანქანას მოშორებით აყენებდა (მამამისის ჟიგულით ჩამოდიოდა ხოლმე) და იმის ძმას დარაჯი ძალღვიობით მანქანაში ეძინა. არ ვიცი, კაკუცს დარაჯობდა თუ მანქანასო... — *Èâñ ò ù ï ðââ Æâèâ?*

— *Àâ ÿò ò Ñ ï à - òñ Æâ ï à èâñ ùèè...*
ეგ სულ ჯველობის ამბებია. მე შემოდია ახალგაზრდა ვალია წარმოვიდგინო, ახალგაზრდა ქაქუცას წარმოდგენაც არ მიჭირს, აი, თომას კი ვერაფერი მოვუხერხე. ასე მგონია, პატარა რომ იქნებოდა, მაშინაც ეს ბებრული თავი ებმებოდა ბიჭის ტანზე...

ორიოდე დღის წინ მე რუსი მოლოკანების სოფელი დაგანახეთ. პატარა მარგინალური დასახლება — ტრასის გასწვრივ გაზრდილმა ორმა ქართულმა სოფელმა უკვე შუაში მოიყოლა იქაურობა — რუსული თეთრი სახლები ცისფრად შეღებილი დარაბებით და აივნებით. ასე ასსამოცდაათი წლის წინ ტამბოვში გამოცხადებულმა თვითმარქვია ქრისტემ იქაურ მოლოკანებს სამუშაოს მიტოვება, საუკუთესო ტანისამოსის ჩაცმა და აღთქმული მინისკენ — კავკასიისკენ დაძვრა უბრძანა. ვალია იმ მხტუნავი მოლოკანების შთამომავალია. მხტუნავები იმიტომ შეარქვეს, რომ მათი მქადაგებლები დერვიშებით ტრიალებდნენ მანამ, სანამ ღონემიხდილები არ დაეცემოდნენ. დაცემულები და ტრანსში ჩავარდნილები იწყებდნენ ქადაგებას. თავისებური ხალხია, მათთან რამდენიმე დღე მაქვს გატარებული — ფოტორეპორტაჟს ვაკეთებდი. არა, სერ, უკვე აღარავინ ტრიალებდა, ან დახტოდა. საამისოდ ბებერი თემია — ახალგაზრდები სულ წავიდნენ. ჭაღარა წვეროსანი კაცები და ჭრელთავსაფრიანი მოხუცი ქალები არიან დარჩენილები... ვალიასი იქ აღარავინ არის. თვითონ მოლოკანზე არ გათხოვილა. ჩვენიანი არც მომიყვანდა ცოლადო. ვალია დედოფლისწყაროს გვერდით პატარა სოფელ მახოვკაში ცხოვრობს. მახოვკელი რუსები რევოლუციამდე საქართველოში ნამსახურები და დარჩენილი ნასალდათარების ჩამომავლები არიან და ეხლა იმათგანაც თითო-ოროლა კაცილა დარჩა, რომელთაგანაც ერთ-ერთი ვალიას მოჩვენებასავით მობორილად ლოთი ქმარია. შვილები დიდი ხნის წინ წავიდნენ. თვითონ ქმრის სიკვდილს ელოდება, რომ რუსეთში შვილებთან და შეილიშვილებთან გადასახლდეს. უკვე ბევრი წელია ელოდება, მაგრამ არ და არ ეძახის იმ ღვიძლდაშლილ კაცს მიქელგაბრიელი. გაზაფხულობით, როცა იორს ჩვენი უცხოელებით შევესოვით, ქაქუცას ვალია მზარეულად და ჭურჭლის მრეცხავად ჩამოყავდა და სეზონის ბოლოს ისევ მახოვკაში მიყავდა თავის პოკაპით. იმ ძველი, ჯველობის დროინდელი მოგონებების ხატრით ამუშავებდა...

იმთავითვე ცოდვილი ვიყავი. ულიანოვკაში არ ვუყვარდით. მამჩემი ადრე მოკვდა და ძალიან გაგვიჭირდა. სამი შვილი ვყავდით დედას გასაზრდელი. გაჭირვებისგან ბევრ ცოდვას ჩადიოდა. სააღდგომო პასკებსაც კი ყიდდა. მოლოკანები არასოდეს ყიდიან სააღდგომო პასკებს. პასკას თუ ყიდი — ქრისტეს სხეულს ყიდი. დედაჩემი ყიდა... თხოთმეტი წლის ვიყავი, კარგი გოგო ვიყავი, კაკუც ჩემი პირველი კაცი იყო და ის რომ ჩემთან მოდიოდა, ცას ვეხებოდი ხელით... ჩემი ძმების არ მემიწონდა. იმათ ემიწონათ კაკუცის. ყველას ემიწონდა, ისეთი დიდი და ძლიერი იყო. დედაჩემიც არაფერს მეუბნებოდა. მაინც ცოდვამ ვცხოვრობდით მთელი ოჯახი. ჩემი ძმები სასმელსაც კი სვამდნენ. იმათმა ცოდვამ მინია და იმიტომ შემხვდა ლოთი, უვარგისი ქმარი... კაკუც მოდიოდა და სულ ცხვრის სუნი ჰქონდა. ერთხელ ჩვენებური რუსული აბანო დავახვედრე გაცხელებული... როგორი იყო, ისეთი ცომწონდა, მაგრამ მისი — კაკუცის სუნი მაინტერესებდა. ცხვრის და ნადირის მეტი არაფერი ჰქონდა ნანახი. თვითონაც ნადირს გავდა. ერთხელ ჩვენს სოფელზე ცხვარმა ჩამოიარა და იმას ვუყურებდით გოგოები — მა-

შინ დავინახე პირველად და ეგ ნადირის გამოხედვა დამამახსოვრდა. გაჯიუტებულ საპალნე ცხენს ჯოხს ურტყამდა, ძალიან მაგრა ურტყამდა. პირუტყვის ეგრე ცემა დიდი ცოდვაა-თქო ვუთხარი და ისე შემომხედა, ჭინჭვლებმა დამიარეს ზურგზე... მაშინ ჯარიდან ახალი ჩამოსული იყო. ჩიტამი იმსახურა. რუსული იქ ისწავლა. ჯარში იქაური კაზაკი გოგო ყოლოდა და მერე იმის სურათიც მაჩვენა. ისეთი სულელი ვიყავი, მთელი ღამე ვიტირე... ჯერ ცხოვრების და კაცების არაფერი გამეგებოდა. არ ვიცოდი, ეგეთ კაცს ერთი ქალი რომ ვერ დააკავებს. ერთი კი არა, ასიც ვერ დააკავებს. საერთოდ ვერ დააკავებს ქალი... ყველას ზაფხული უხაროდა. მე ზამთარი შევიყვარე. შემოდგომას ველოდი, ცხვარი რომ მთიდან დაბ-

ჩემი ხაზიანიც... ცხვრის სუნი აღარ აქვს, თავისი სუნი აქვს და უნდა ფოთოლცვენაში მოვა და უნდა გაუთიბავ ბალახში. გაუთიბავ ბალახს ძალიან მძაფრი სუნი აქვს... — ვალია, მე წავედი... უცხოელების გაღვიძების დროა... — ნადი, ძვირფასო, ნადი... ყოველთვის ღარიბად ვცხოვრობდი. არაფრით არ შემეძლო მისთვის მადლობის გადახდა. ერთადერთი ჩვენს პატარა ბაღში ერთ კვალ ბოლოკს ვუთესავდი ხოლმე. ჩემმა ქმარმაც იცის, რომ ის კვალი კაკუცის არის. ეხლაც ვუთესავ. ბოლოკი ძალიან უყვარს... — ეგ კი ვიცი. ბოლოკი მეც ჩამომატქვს ხოლმე. თომასთვის — გაზეთები და ქაქუცასთვის — ბოლოკი... — ამ ქვეყანაში ფანტასტიური ხილი და

უფრო შორეულ წარსულად მეჩვენება, ვიდრე — მაისი... იმ ივნისს ჩემი ნაქირავები ოთახის აივანზე მოსანევად გასული, მუდამ ვხედავდი ორ მეზობელს — გოგოს და ბიჭს. აივნის იმათი ფანჯარა საუკეთესოდ ჩანდა. რალაც სახელოსნოსავით ჰქონდა დიდი, შეიძლება ერთადერთ ოთახში მოწყობილი და მთელი დღეები მუშაობდნენ. ერთმანეთისგან ზურგშეცვეთით ისხდნენ თავ-თავიანთ კომპიუტერებთან. ერთი ოთახის ერთ ბოლოში, მეორე — მეორეში. დღის ნებისმიერ დროს იმათ ყურებას არაფერი სჯობდა. უკაკუნებდნენ და უკაკუნებდნენ კლავიატურას. ვითომ არაფერი და მამშვიდებდა იმათი ცქერა. გერმანიაში რა, რა და მუშაობა არ უნდა გაიკვირო, ოღონდ ეგენი რალაც სხ-

არჩილ ქიქოძე

ჩიტის და კაცის ამბავი



რუნებულყო. ჩვენი სახლების წინ ჩავლილი ყოველი ცხვრის ფარა მამამისის მეგონა. მგონი, მამამისმა იცოდა ჩვენი ამბავი. მანქანას ატანდა ხოლმე და კიდევ ძმას — არაფერი რომ არ მოსვლოდა... ძმას ერთხელ გადარჩენილი ვყავარო — კაკუცმა მითხრა.

— ვალია, დარწმუნებული ხარ, რომ ძმები არიან?

ვალია სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავს. მე სიგარეტს ვენევი. ძალიან ცხელა და შევიცარიელმა ბერდვორებმა სადილის მერე სიესტა მომთხოვეს.

— ეგრე ამბობდა კაკუც. ამბობდა — მოი ბრატ. კაკუც მერეც მოდიოდა ჩემთან. რომ გავთხოვდი — მას მერეც. თვითონ რომ ცოლი მოიყვანა — მერეც. სულ ველოდებოდი. ისიც მოდიოდა, სანამ შემხედებოდა და რალაცას ვგავდი. სულ ესეთი დამჭკნარი კი არ ვიყავი. კარგი გოგო ვიყავი, ქალობაც მომიხდა. ორივე შვილს ძუძუ ვაჭამე და არაფერი, მაინც კარგი ვიყავი. კაკუც მოდიოდა და წინასწარ ვგრძნობდი იმის მოსვლას. თითქოს სადმე იქ იყო დამალული და თავის ნადირის თვალებით მიყურებდა... სინამდვილეში დამალვა არაფერში ჭირდებოდა. ღიად მოდიოდა — ჩემი ქმარი როგორი ჩვარიც იყო, ისეთად დარჩა. ეხლაც კაკუც გვაჭმევს არსობის პურს. ეხლა ვეცოდები და იმიტომ გვაჭმევს, ოღონდ, აი ადრე მახოვკაში, გამოვალ სახლიდან და ვიცი, სადღაც ახლოსაა და ვგრძნობ, რომ დღეს უნდა მოვიდეს. ვული გრძნობს და მეუბნება. მე ცალკე ვურ და ეს ჩემი გული კიდევ ცალკე ფეთქავს. უკვე ზამთარს აღარ ველოდები იმიტომ, რომ ცხვარს მთაში აღარ დაყვება. უკვე თვითონაა ხაზიანი. მარტო ცხვრის კი არა — ლამის მთელი რაიონის ხაზიანი და

ბოსტნეულია... მაგრამ რატომ მაინცდამაინც ბოლოკი? მგონი ვიცი, რასაც გავიგონებ, რომ ახირებული ლენდ ლორდი ამ უწყინარი ნაყოფის ჭამაში რამე განსაკუთრებულ მნიშვნელობას დებდა. ეგონა, ძალას შემატებდა? მითხარი, ქართულ მითოლოგიაში ბოლოკს რამე სიმბოლური დატვირთვა ხომ არ აქვს?

კარგი დილაა — მზიანი. რეინჯერთა თავშესაფრის ვერანდაზე ვსაუზობოთ და გამოძინების მერე პატარა ბიჭვით ვგრძნობ თავს. თანაც დღეს ჩემს შეუსრულებელ მისიას ვასრულებ. ამაღამ დიდი თამაშის უსახელო ჯარისკაცს თვითმფრინავზე დავსვამ და სახლში გავისტუმრებ. თბილისი — სტამბული — ჰიტროუ... მაგარია!

— არა მგონია, სერ. ხანდახან ადამიანს უბრალოდ რალაც აჩემება აქვს. რალაცა მოსწონს და ეს რალაცა შეიძლება ბოლოკიც იყოს...

— რა თქმა უნდა! ასჯერ მართალი ხარ! ჰმ. შენ მე საკუთარი თამაშის წესები მომხვეცი... ჩემი გამოცდილების კაცს ეს არ უნდა დამართნოდა, მაგრამ მაინც ჩამითრე შენს ბანალურ ისტორიაში, რომელსაც სულ უფრო ამსგავსებ დეტექტივს.

— უფრო ფაზელს, სერ და საბოლოო სურათის მისაღებად სულ ორიოდე ნაკუნის მორგება დამრჩა. ერთი ნაკუნი ცალთვალა ახმედას ბინაში მულოდება, მეორე — თბილისის აეროპორტში...

— ახმედ, გაგიგია, რო თომა ქაქუცას ძმაა...?

ამ კითხვის დასასმელად ნახევარი წელი დამჭირდა. ორივემ ჩვენ-ჩვენ წრეებზე ვიარეთ და ოქტომბრის თვეში მეხუთე კვადრატში შევიყარეთ. ახმედას საზაფხულო იალაღები ჰქონდა მოვლილი, მე ოდესღაც ბერლინი, ოღონდ ოქტომბერში ივნისი

ვანაირად, გემრიელად მუშაობდნენ. ის დიდი ოთახიც რალაც სათავისოდ კარგად მოეწყოთ. საქმე ჰქონდათ და ერთმანეთი ჰყავდათ. შიდა ეზოში, სადაც ხეზე მიბმული ჩემი ველოსიპედი ლაგამს კვენტდა და მოუსვენრად სცემდა ფლოქვებს, ერთხელაც არ მინახავს ჩასულები. თითქოს ნაგავიც არ უგროვდებოდათ, იმის გადასაყრელად რომ ჩასულიყვნენ... ფანჯარაში ვხედავდი და სულ იმის ფიქრში ვიყავი, ნეტა ან ერთი რას წერს, ან მეორე-მეთქი?

— ეს ცხვარი თომასია. ნახევარი თომასია, ნახევარი — ქაქუცასი. ოღონდ თომას არ უნდა. თომა თქვა: მე არაფერი არ მინდა. რო მოინდომა, გაყიდოს თავისი წილი — ხეირი ნახოს... უნდა, არ გაყიდოს, დაიტოვოს, ცხვარი გამრავლდეს, მერე გაყიდოს — უფრო დიდი ხეირი ნახოს. ოღონდ არ უნდა. თომა თქვა: მე ერთი კრესლო-კაჩალკა მინდა...

ახმედს უნდა სცოდნოდა. მთელ მწყემსებში — ქართველებშიც და აზერბაიჯანელებშიც ერთადერთია, ვისაც მუჟანაძისეულ სახლში მიესვლება, ვისაც იქ მობუდარ წყვილთან რალაც აკავშირებს. თომასთან ერთად საათობით მოლაპარაკე მინახავს და გამკვირვებია. „ჩემი ძმობილი თომა“ — ეგრე უთქვია. ქაქუცასთანაც აქვს რალაცა, მთლად მეგობრობა არა, მაგრამ ქაქუცა მას კაცად აგდებს. ხმას გასცემს, გაუჩერდება, დაულაპარაკება, ოჯახის ამბავსაც კი გამოჰკითხავს... ეგრე გამოდის, რომ ცალთვალა სარქალს ქაქუცასა და დანარჩენ მწყემსებს შორის ელჩობა უწევს. მარტო თავის ბრიგადის და ფარის არა, სხვა ბრიგადების გასაჭირები მას მი აქვს ბატონთან. თითქოს აქაურ მარტივ კოსმოსში გრავიტაციის ცენტრსა და მის ორბიტაზე გაფანტულ ცხვრის ბინებს შორის მომრიგებელი ცალთვალა ღვთაე-

ბის მსგავსი რამ იყოს... ვის, ვის და ახმედს უნდა სცოდნოდეს...

— ესე იგი, მართლა ძმები არიან? — არიან და არ არიან. ევე, ეგ დიდი ამბავია, ყარდაშ. თომა არ არი აქაური კაცი. კახეთის კაცია, ოღონდ ქიზიყის კაცი სულ არ არი. ჯიგრიანი გაგიგია? ჯიგრიანის ატამი ხო გაგიგია. მეც გაგიგია, ყარდაშ, არკი მიჭამია. მთავი რო წავიდა ცხვარი, ატამი ჯერ არ არი, ბარში რო მოვიდა — ატამი მორჩა — აღარ არი. ეგ კი სულ გაიგონო რო, ჯიგრიანის ატამი, ჯიგრიანის ატამი...

მაგ ატამის ჯიგრიანში მიდენილიყო ქაქუცას მამის ცხვარი. ქაქუცა პატარა ბაღლი იყო. ცხვარში არ დადიოდა. დიდი ხნის წინ იყო... მამამისი ნახა, რო იმ ჯიგრიანის კაცები პატარა ბაღლი დაუჭერიათ და აწვალონ. კრეოლინიან ბასეინში, ცხვარი რო უნდა დაიბანოს მთაში წასვლის წინ, ჩააგდოს და აწვალოს. ეს ბაღლი კიდევ არი უშნო, უშნო რაღაცა. უშნო როგორც შაითან. ამოსვლა უნდა, ისევე შიგ ჩააგდო. ეგ ბაღლი არი თომა. ჯიგრიანის კაცები იცინის და ჯოხებით აწვება, რო ბაღლმა თავი კრეოლინი ჩაყო. ქაქუცას მამა კითხა: ბაღლი ვისია? პატრონი სად არი? რატო აწვალე? ჯიგრიანის კაცები უთხრა: ნადი, გაიარე, ცხვარი მიხედე, შენი ტრაკების საქმე არ იყოს. ქაქუცა ხო ნახა? ქაქუცა არი მამამისი. მამამისმა ჯიგრიანის კაცები სუ იმ ბასეინში ჩაყარა, ბაღლი ამოიყვანა, წაიყვანა სოფელში და ჯიგრიანის ქაღები კითხა: ვისია ბაღლი? იმათ უთხრა: ერთი ქალია, ოღონდ ქალი, სულ გიჟი ქალი. მთელი ჩვენი კაცები იმ ქალთან დადის და ბაღლი ობოლი არ არი, მარა იმის ხელში ობოლია. ქაქუცას მამა წავიდა და იმ ქალს კითხა: გინდა ბაღლი? არ გინდა — მე წაიყვან. ქალმა უთხრა: ჰალა! წაიყვანე, შენი იყოს — შეგარგოს შენი ღმერთი. წაიყვანა ქაქუცას მამა თომა და მიუხვია ქაქუცას, უთხრა: შენი ძმა არი. თავის დედაკაცს უთხრა: ჩემი შვილი არი! თითონ წავიდა, თავის ცხვარს პერეველზე დაენია. შემოდგომაზე მოვიდა. ბაღლი უკვე სკოლაში დადის. არავინ არ ცემა, ბასეინში არ ჩააგდო. ქაქუცასი ეშინია. იმიტო რო, ქაქუცა არი მამამისი... ქაქუცა თქვა: ეს ბაღლი ჩემი ძმა არი... ყარდაშ, მორჩა! აღარ გინდა ჩემი სურათი — ბებერი კაცის სურათი. აგე, ათაქემა გადაიღო — ჩემი შვილიშვილი. ჩემი რძალი გადაიღო! დადე ეგ აპარატი! ჩაი დალიე, ხალვა ჭამე... ამდენი ბებერი, ცალითვალი კაცი რად გინდა, კაცოოო?!

ეს თომა გაიზარდა და ახსოვს, რო ქაქუცა იმის ძმა არი და იმის მამა კიდევ წამოიყვანა და უთხრა: ჩემი შვილი ხარ! ეს თავის მამა და ძმა უყვარს, როგორც გიჟი. ქაქუცას მამა ყავდა ერთი თეთრი ცხენი. ყველაზე მაგარი ცხენი. ქისტმა მოპარა. ქისტები ცხენის მოპარვა იცის. ქისტმა ცხენი მოიპაროს, როგორც რო არი კაცი. მაგარი ცხენი მოიპაროს — მაგარი კაცი. ქისტმა ცხენი არ მოიპაროს — არ შეუძლია. ქაქუცას მამის ცხენი ძალიან მაგარი ცხენი იყო და ქაქუცამ თქვა: არ შევარჩენ, ვიცი ის ქისტი! მამას უთქმია, რო არ გინდა! ის ქისტი არის გიჟი ვილაცა, ტყვიის არ ეშინია, მილიციის არ ეშინია, მოგკლავს და ეგ ერთი შვილი მყავხარ! უთქმია და თომაც იქა ზის და უნანია, რო თომასთან რატო ეგრე უთქმია. თომა ამდგარა და გაპარულა. მივიდა იმ ქისტის სოფელში, მივიდა იმის სახლში და უთხრა: მამაჩემის ცხენი გამატანე! ქისტები დაიწყეს სიცილი. ეს პატარა, შაითანივით უშნო კაცი მოიდა და უთხრა: ცხენი მომე! მთელი ქისტი კაცები ერთმანეთს ეძახის და იცინის. თომა ჩაყო ჯიბეში ხელი, აიღო ლიმონკა, გამოაძრო კბილით კალეცო და კბილით იძახის: მამაჩემის ცხენი მომე, თუ არა, თომაც მოკვდეს და თქვენაც მოკვდეთ. ქისტი კაცები აღარ იცინის. მერე ის კაცი თქვა: წაიყვანე ცხენი! ჰალა! კაცი ხარ და მამაშენი უთხარი, რო კაცი ყავს. უთხრა და წავიდა, ცხენი უნდა მოიყვანო. თომა ელოდებოდა, კბილით კალიცო უჭირავს. ქისტები უყურებს როგორც ჯანაყარ — მგელი! ქისტი ჯანაყარის შვილია. თომას კბილი დაილალა, თომას ხელი დაილალა. ელოდებოდა.

მოიყვანოს ცხენი. მიცეს თომას. გამოიდა ეზოდან თომა. კალიცო გაუკეთა ლიმონკას. ჯიბეში ჩადო. დაჯდა ცხენზე. მოდის ქისტის სოფელში და ფიქრი აქვს,

რო ეხლა ქისტები ზურგში მესროლოს. ქისტმა იცის ზურგში სროლა. არა, არ ესროლო! მოიდა მამასთან, უთხრა: აი, შენი ცხენი! მამამ უთხრა: ვახ, შვილო, შვილო! — ბრავო! ეს დეტექტივი აღარ არის! სათავგადასავლო რომანია ან ჰეროიკული პოემა... კიპლინგის „ბალადა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე“ მომავონა... გახსოვს, იქაც ცხენის ქურდობით იწყება... — მახსოვს და შეიძლება, მართლაც გავდეს... ისტორიები ხომ მეორდება. კიპლინგიც მაგას ამბობდა: ყველაფერი, რაც არის, ადრეც ყოფილა. ყველაფერი, რაც იქნება, მხოლოდ დავიწყებულ ჟამთა შემობრუნებაა.“ ისტორიები მეორდება, ჩვენი კი ვილაცის მიერ ჩვენთვის მოხაზულ წრეებზე დავედვართ და ასეთი წრე თურმე თომასაც ჰქონდა...

— მე ძმობილი მყავ ჯიგრიანში. რამდენი ცხვარით ავივლი და ჩავივლი, გაჩერდები და სალაშს ვუთხრავ. კარგი კაცია — პურმარილიანი კაცი. გზის პირზე ცხვარობს და დაუძახებ. სახლში არის და გამოივა. არ არის და იმის ცოლს ვუთხრავ სალამ, შენ ქმარს უთხარი ახმედა იყო და სალაში გითხრა. გაზაფხულზე კიდევ ჩამოვი-



ლი... პურმარილიანი კაცია. ოღონდ მე იმისი არაფერი არ მინდა. სალაში მინდა, რო იცოდეს — ცოცხალია ახმედა!

ხუთი-ექსი-შვიდი წლის წინ დაუძახებ და სახლში იყო. გაეხარდა, როგორც კახეთის კაცმა იცის, სტუმარი რო დაინახა: ვაა, ახმედა, შემო პური ვჭამოთ! თითო ლიტრა ღვინო დავლიოთ!. არა, რა პური ვჭამოთ?! — ცხვარი მიგიდის! სალაში უნდა გითხრა. მერე მითხრა: ჭაჭა უნდა გაგატანო — ჩემი ჭაჭა. მთავი ცივა, ჩემი ჭაჭა დალიო — გათბე. მე უთხარი: იახში, გამატანე. წავიდა მარანში, რო ჭაჭა მოიტანო და მე რასა ხედავ? რო ამ სოფლის გზაზე ჩვენი ცხვარი რო დადის, მოდის თომა და უკან მოდის მთელი ჯიგრიანის ბაღლები და ქვას ესვრის. მოდის ეს ჩემი ხაზინის ძმა, ჩემი ძმობილი, პაჩტი რო ჩემი ხაზინი იმიტო, რო ეგ ცხვარი მაგისიც არი, თომა თქვა არ უნდა, მარა ქაქუცა თქვა, მაგისიც არის. მოდის და ბაღლები ქვას ესვრის, როგორც რო ვილაცა ვეარა. ვიფიქრე, ჩემი თვალთ მატყუებს. მოვიდა ახლოს და თომა არი. ვახ... ავიღებ ჩემი მათრახი და ბაღლები შავაშინე. გიოოოთ! თომა უთხარი: რა ხდება, თომა? იმან მითომ არაფერი არ ხდება, მითომ სულ არ იცნობ ახმედა, გაიარა გზაზე და ბაღლები კიდევ უკან მისდევს...

გამოიდა ჩემი ძმობილი და მითხრა: შენ ამას საიდან იცნობ? ეგა არი გიჟი კაცი, ბრადიაგა კაცი... სულელი კაცი. მე უთხარი: ჩემი ხაზინის ძმა არი და ამ ცხვრის პატრონი არი. ის ჩემი ძმობილი მოკვდა სიცილით. მითხრა: დაბერდი, ახმედა, თუ რამე დაგაღევი? ეს კაცი არის ბრადიაგა გიჟი ვილაცა, შენ ჩემი მთავი ნადი, შეგცივდება, ჩემი ჭაჭის არაყი დალიე და მომიგონებდე, როგორი კარგი არაყი მოგეცი...

— სწორად გავიგე, რო იმ სოფელში ნახა, საიდანაც თავის დროზე მამობილმა წამოიყვანა.

— დიახ, სწორედ აქ და თურმე იმ ადგილს წლები მანძილზე უბრუნდებოდა...

— ვიცი. იმ სოფელში ბავშვებს დედები მაგითი აშინებდნენ — დაიძინე, თორე გიჟი თომა მოვია! მერე ის ბავშვები იზრდებოდნენ და ქვებს ესროდნენ... თან მაინც ეშინოდათ.

აეროპორტის სადგომზე რაჯებას მან-

ქანაში ვსხედვართ და საცაა თბილისური ზაფხულის დილა დაგვათენდება. ამ თბილისში თვითმფრინავებმა სულ უდროოდ დროს იცინა ჩამოსვლა.

— სულ ჩადიოდა, წელიწადში თუ არა, ორ წელში ერთხელ მაინც. ფეხით ჩადიოდა. არავის უნახავს ავტობუსს ან მარშრუტკას მიყოლოდეს. მთელ სოფელში დაბორილებდა, იმ დედამისის ცარიელ ნასახლარზე მიდიოდა... დედამისი საერთოდ წასულა და გამქრალა — არავინ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი. ეხლა ცოცხალი სადღა იქნება, მაგრამ ადრევე გადახვენილა, ეს რომ გაუშვილებია. ეს კიდევ სულ დადიოდა. გახსოვს, ერთი-ორჯერ არ დაგვხვდა იორზე და ქაქუცას რომ ვკითხვით, დაიღრინა რაღაცა. იქ ყოფილა წასული. თუ მიდიოდა სადმე — მარტო იქ. ყველას გიჟი ეგონა... დრო გადიოდა და სულ უფრო ცოტას ახსოვდა, სინამდვილეში ვინ იყო. სახელი კი დარჩა — გიჟი თომა. რამდენჯერმე უნახავთ, რო ატმის ბაღებში ეძინა. შეიძლება, იგიჟიანებდა კიდევ თავს... ეგრე ერჩივნა, რომ არ გამოეკითხათ, ვინ იყო და ვისიანი...

— ეგ ყველაფერი ქაქუცამ მოგიყვა? — ჰო, შენც გიკითხა, გასვენებაში რო მარტო ჩავედი...

— მე მეგონა, სახელებიც არ ახსოვდა ჩვენი...

— მეც ეგრე მეგონა. დიდხანს მელაპარაკა. აი, კაცს რო ატყობ, რო ლაპარაკი ჭირდება და მარტო რო უნდა უსმინო. შემეცოდა. სულ მაგაზე მქონდა ჩხუბი — იქ ნუ დადიხარ! ვერაფრით შევასმინე და ბოლოს მომბეზრდა ეგ ჩხუბიცო. წინდანი შევატყობდი, რო მოიწყენდა და თითქო თვალებს დამიმალავდა, გამიშვიო, — ისე მეტყოდა, თითქო მაგისი ბატონი ვყოფილიყავი, თითქო, დაბმული მყოლოდა... ნადი და ჯანაბამდე იარე, მე უშენოდ არაფერს გავიჭირებ! მითხარი და რაიონამდე მაინც ჩაგიყვან! არააა! მოიკიდებდა პურ-ყველიან გუდას და დაადგებოდა შარას. თითქო ფეხით აპირებდა იმსიორემდე მისვლას... შეიძლება, მიდიოდა კიდევ. ორ კვირაში კი ბრუნდებოდა უკან, ორ კვირაზე მეტით არცერთხელ არ წასულაო...

— გუდიანი კაცი... ბებიჩემი მამინებდა: დაიძინე, თორე გუდიანი კაცი მოვაო. ეტყობა, ყველგან თავისი გუდიანი კაცი ყავთ. ჯიგრიანელებისთვის ჩვენი თომა ყოფილა გუდიანი კაცი...

— სულ უნდა გადავწვავ ის სოფელიო! — ქაქუცა იძახდა და იმ თავის დურაკ შვილს — მეფეს მუშტს უღერებდა. იმან ადგა და ჩემსობას კითხა: ჯიგრიანში რად არ შეატყობინე, იქნება ვინმე მაგისიანი დარჩა, გასვენებაში რო ჩამოსულიყო და მაშინ დაუყვირა: თავისიანი კი არა, სულ გადავწვავ იქაურობასო! ოღონდ აღარაფრის გადამწველი არ არის — თვითონ გადაწვეს. მოტეხილია მაგარი...

— როგორია ეგეთი კაცის მოტეხვა... — მურტალია...

ატმის ბაღები არ ამომდის თავიდან. ატამი ადამიანზე ბევრად ცოტას ცოცხლობს. თხუთმეტი წლის ატამი ძალიან ბებერია — მოსაჭრელია. იმ ატმის ბაღებში შესულ თომას, იქ არავინ დახვდებოდა თავისიანი. მაინც იქ ერჩივნა, იქვე ეძინა პირდაპირ მიწაზე დაგდებულს. კიდევ ის სახლი სოფლის განაპირას... არც არის

სახლი — პატარა ღარიბული ქოხია. საბოსტნე ეზო უკვე დიდი ხანია მიიტაცა ვილაცამ და ნიორს თესავს. ქოხს კი ჯერ კრამიტინი ჭერი ჩაექცა, მერე კედლებმა დააღეს პირი. თუ რამე მოსაპარი იყო შიგნით, დიდი ხნის წინ წაიღეს. რა ექნებოდათ რო? ისეთიც არაფერი, მაგრამ რაც იყო, იმასაც არ დატოვებდნენ. შეიძლება, კედლებზე სასურათედ გამოწყობილი წინაპრების ერთი-ორი ჩიხტიკოპიანი ფოტო თუ დაარჩინეს... იმ თვალებდათხრილი სურათების და ცარიელი კედლების მეტი არაფერი დახვდებოდა ისეთი, მისთვის ბავშვობა რომ მოეგონებინა. ან ეგ რა ბავშვობა იყო? რა უნდა ხსომეზოდა კარგი? რას დაეხეტებოდა? რად მიდიოდა იქ, სადაც მხოლოდ ქვებს ესროდნენ და მისით შვილებს აშინებდნენ? მაყვალში და ჭინჭარში ჩაფლული ჩაქცეული ქოხი და მის წინ დაყუდებული პატარა გუდიანი კაცი. გიჟი თომა თავის ნასახლართან...

— ჩვენ? ჩვენ რა გვეშველება?

— მოფიქრებული მაქვს, — რაჯება უკვე ტრასაზე მიაქროლებს მანქანას. მე სახლში ვბრუნდები. — იორი ვაშლოვანით უნდა ჩავანაცვლოთ. იქაურობას ვერაფრით ჩაანაცვლებ, მაგრამ მაინც. ისიც სემიარდული ზონაა. ჯერ ადრეა მაგაზე ლაპარაკი, მაგრამ გაზაფხულისთვის კარგად უნდა მოვემზადოთ. უკვე ბლომად ხალხი მწერს. რაღაც სამუშაოები აგვისტოს ბოლოს — სექტემბრის დასაწყისშიც გვექნება. ერთი-ორი კარგი ჯგუფი ჩანს უკვე. ძირითადად აჭარა უნდათ.

— მიგრაცია?

— ჰო, სანამ ჩიტები დაფრინავენ, ლუკმა პურს არ გავიჭირებთ. კიდევ ერთი ინგლისელი ინერება. სექტემბრის ბოლოსკენ უნდა ჩამოსვლა. დიდი ტური უნდა — აჭარაც, ყაზბეგიც, ჯავახეთიც, ვაშლოვანისკენაც შეიძლება წაყვანა. წერილებით ცოტა უცნაური ბიძა ჩანს, თანაც მარტოა და, შესაბამისად, ფულიც იმდენი არ რჩება. მე ჯერ პასუხი არ მიმიწერია. გელოდებოდი. თუ გილირს, გადმოგიფორვარდებ და აიღე შენ თავზე ეგ ტური.

— შენ თვითონ რატო არ გინდა?

— მაგ დროს თბილისში ჯობია ჩემი ყოფნა. დაგავიწყდა? — თაკო აჩენს ოქტომბრის დასაწყისში...

— მე მაინც ვერ მიგხვდი, რა მოუვიდა თომას ან ის სახლი რატომ დაინვა? — კითხულობს ინგლისელი, — ცხელი წყალი თუ დარჩა, მე სიამოვნებით კიდევ დაველევდი ჩაის. მაინც რა მოხდა ივნისში?

ესეთი ზანტი საუბრე ჯერ არ გვექონია. აღარსად გვეჩქარება...

— მოკლეს. უდაბნოსფერმა ჯარისკაცმა მოკლა — გიურზამ, ფლანგამ თუ ტარანტულმა. ცეცხლი საიდან გაჩნდა, ეგ არავინ იცის. ეგეთ რამეზე ტელევიზორში იტყვიან ხოლმე: გამოძიება დაადგენსო. შეიძლება, უკვე დაადგინა კიდევ. ან ჯარისკაცს ედო ავტომატში ისეთი ტყვია (ცეცხლს რომ აჩენს, ან ბენზინიან ჭურჭელს მოხვდა და ააღდა. არ ვიცი. ჯარისკაცმა კი მთელი ჯერი მიუშვა, თუმცა თომას ერთადერთი ტყვია მოხვდა — უეჭველად სასიკვდილო და ალბათ პირველივე. ჯარისკაცი სახლსაც ესროდა, მგონი ყველაფერს ესროდა და მჭიდრი ტყვიები რომ გაუთავდა, მხოლოდ მერე გაიქცა გორის უკან დამალული თავის კამუფლაჟებში გადაღებილი ჯიპისკენ...

ორი კვირით ადრე მეხუთე კვადრატში შესასვლელ პოსტზე როტაცია მოხდა. ახალი ჯარისკაცები მოიყვანეს. ისიც იქ იყო — ობლობაში გაზრდილი და ჯარში მოხალისედ წასული. სოფლებიდან ბევრი მიდის პროფესიულ ჯარში, ბევრისთვის ეს რეალობიდან გაქცევის გზაა — ბირჟის, სიდატაკის, მონყენილობისთვის თავის დაღწევის გზა. სოფლები სასეა ახალგაზრდა მამაკაცებით, რომლებიც ერწყაყა და ავღანეთში წასვლაზე ოცნებობენ...

— იქაც და იქაც თქვენმა სამშვიდობო კონტინგენტმა საუკეთესოდ გამოავლინა თავი. მე წამიკითხავს რაპორტები...

— მჯერა და ვინც ცოცხალი დაბრუნდა, ოჯახს გამოეყო, ცოლი ითხოვა, „ოპელ ვექტრა“ იყიდა... დიდად შორს არ წასულა იმ რეალობიდან, რასაც გაექცა, მაგრამ ერთი ნაბიჯით წინ მაინც წაინია. რომ არ წასულიყო, არც საკუთარი სახლი ექნებოდა, არც მანქანა და არც ცოლი...

იჭვი

სადღაც შენს სულში თუ სულის ფსკერზე
 იმ ერთი ცოდვის განასერია,
 რომელსაც ხელისცეცებით ვეძებ,
 რამაც ლექსები დამანერინა.
 ეს ნაწერები ჰგვანან ჭრილობებს
 და ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავს,
 მე დავიფლითე როგორც ჭილოფი,
 ალბათ თვითონვე ვეძებ მომცელავს.
 სადღაც შენს სულში, სულის წიაღში
 ცოდვის ირიბი განასერია,
 და ამ ჩემს ყოფნას ზედვე მივაფშვნი,
 ოღონდ ჯერ სისხლით დამანერინა.
 დამანერინა როგორ ჭრიალებს
 ჩემს სულში დარდი ანდა იჭვები,
 როგორ მძალავენ და უჩინარი
 ჯავრით შეჭმული როგორ ვირჯები.
 სადღაც შენს სულში ის კვლავ ანთია,
 იმ მწარე ცოდვის განასერია,
 ჩემი ყოფნა კი იმის დარდია,
 იმის ნასხლეტი და ნამსხვრევია.

არ ვიცი, როგორ დავითარსები,
 არ ვიცი, ვისი მიშველის ზრუნვა,
 მხოლოდ ის ვიცი, მთელი არსებით
 ვგრძნობ გარინდული ჰაერის ბრუნვას.
 არ ვიცი, ვისი ხელის შეხება
 ჩაახშობს ჩემში ამ მწარე განცდას,
 ვიცი, სალამომ სივრცე შეღება
 და შემოსაზღვრულ მიდამოს გასცდა.
 არ ვიცი ასე რამ დამარბია,
 რამ შემოაგლო ჩემში ქარ-წვიმა,
 ვდგავარ და თითქოს სადღაც გავრბივარ
 და ტანს შემხმარი წლები მაცვივია.
 რა ვქნა არ ვიცი, შემოვხევევი
 ჩემ თავს ნისლივით ანდა ჯანლივით,
 და თუკი შემძრავ და შემეხები —
 იგრძნობ, რატომ ვარ ასე დაღლილი.

უპილოა

გახევებული დგანან საგნები
 და მეც გახევედი ღამის მეცანი,
 და თეთრად ელავს ბზაც, ქვეშაგებიც,
 ბნელში სითეთრეს აფენს ზენარი.
 ასეა ღამეც და ღამის რინდიც,
 ისე სდუმს, თითქოს ელის მეტოქეს,
 ძილიდან ძილში გადადის ხიდი
 და გეშინია, რომ არ შეტოკდეს.
 ღამეში ისევე გადავშლი რვეულს,
 რომელსაც მთელი ცხოვრება ვშლიდი,
 და ბნელში ისევე შევარხევე სხეულს,
 გახელილ თვალებს და მზუჭავ სინდისს.
 და ეს დიადი სიჩუმი ნუთი,
 ეს მარტოობის ხეული ხლართი
 სიცოცხლეს უცდის, სიკვდილსაც უცდის
 და დუმს ჯიუტად განგების ხათრით.

მე ნამოგყვები. ნამოვალ შენთან.
 ასე ვიდგები ჩუმად შენს გვერდით.
 მე არ მჭირდება შენს გამო სევდა,
 მე მინდა შენი მივილო ხვედრი.
 მე მინდა შენი ტკივილი ვიგრძნო,
 ხანდახან შენი სიზმრები ვიხანო,
 ასე სჯობია, ვიდგები, ვინძლო,
 რაღაც მეშველოს შენთან, შენს ახლოს.
 მე მინდა ასე შენს გვერდით ვინვე,
 ასე ვეკიდო ამ ღამის სიმზე,
 გულით დროს ვგრძნობდე, სხეულით — სივრცეს
 და თვალგახელილს ვხედავდე სიზმრებს.
 თენდება. ზამთრის დღეს მოაქვს სუსხი,
 ფანჯრებზე ყინვის ფიგურებს ქარგავს,
 სხვა რაღა გითხრა, როდესაც ვუნყი —
 უშენოდ ველარ ვიქნები კარგად.

კვლავ უპილოა

სიზმრებში ისევე შენი პროფილი
 და ფანჯარაში ღამე კვეთილი,
 სინამდვილეს ვარ გადაჭდომილი,
 ასეთია ეს ყრუ გაკვეთილი
 არც მძებნელი მყავს და არც მრჩეველი,
 ჩემივე თავი მეუცხოება,
 და როგორც სიკვდილს შეუჩვეველი
 კვდება — მე ისე ვინყებ ცხოვრებას.
 ახლალა ვინყებ, რადგან გავიგე
 გემო ღალატის და თანაგრძნობის,

ანდრო ბუაჩიძე



და ფანჯარაში არსთა გამრიგე —
 ღამე დგას როგორც ძველი ნაცნობი.

სიზმრის ცხაური

რა უცნაური რამე შემემთხვა,
 ადრე თუ სიზმარს ცხადიდან ვღვრიდი —
 ახლა სიზმარი ცხადთან შეერთდა,
 სიზმარ — ცხადს შორის ჩამიტყდა ხიდი.
 და ახლა ვისმენ ღამის ხმაურებს
 უკვე სიზმარში და არა ცხადში,
 და დღესაც სიზმარს ცხადში ავურევ,
 რადგანაც ღამის წინაშე დავრჩი.
 და ასე სიზმარ-ცხადზე ჯვარცმული,
 როცა ვიძინებ ანდა ვიღვიძებ,
 სიზმარში ცხადით ვარ გაკანრული
 და სიზმრის ელდა ახლავს სიფხიზლეს.
 რა ეშველება ღამის ხმაურებს,
 როდის შეწყდება მდორე დინება,
 ღამე აწყდება სიზმრის ცხაურებს,
 ნავა და სადღაც მიეძინება.

განათებულა ღამის ქალაქი,
 ქცეულა ცრუ და მზინავ ველობად,
 ის კი ბრუნდება ულაპარაკოდ,
 უკვე დატოვა უცოდველობამ.
 ტანჯავს გრძნობა, რომ უკვე იმრუშა,
 და უკვე ნაღვლით თუ გაიღიმებს,
 და დასტყობია ტუჩებს სილუშე,
 სხეულს სიტკბო და თვალებს სიმღვრივე.
 რა საცოდავად ბრუნდება სახლში,
 სხეულში ვნება უღვივის ღვეღვად,
 შეაღებს კარებს ამ დილით დახშულს
 და უნდა თავი რომ იგრძნოს მსხვერპლად.
 ამ დილით ჯერაც არ იყო მსხვერპლი
 მარადიული, ტკბილ-მწარე ცოდვის,
 და ახლა როგორც დამფრთხალი ნერბი
 გზაბნეული სახლისკენ მოდის.
 ხოლო ქალაქი, ღამის ქალაქი
 ქცეული ცრუ და მზინავ ველობად,
 ცდილობს ცბიერად, ულაპარაკოდ
 შემოატყუოს უცოდველობა.
 მაგრამ ქალაქი მრუშია, მრუში,
 პირქუშად დუმს და არ იღიმება,
 ის საიდუმლოს ინახავს ღრუში
 და უაზროა მისი მხილება...
 მალე დამთავრდა ეს სიახლოვე,
 ტკენა და ტკობა იგრძნო სხეულმა,
 ახლა კი ფიქრობს, რომ შეახოცეს
 ცოდვა ისე, რომ არც შერხეულა.
 არადა, ვნებას ბოლომდე ეგზნო,
 მთელი ცხოვრება ებრძოდა ლოდინს,
 სასონარკვეთილს უნდოდა ეგრძნო
 მარადიული ზაფრა ამ ცოდვის.
 განათებულა ღამის ქალაქი
 ქცეულა ცრუ და მზინავ ველობად,
 ის შინ დაბრუნდა ულაპარაკოდ,
 იქ კი არავინ არ მოელოდა.

უნდა ვიცოდე, ახლა სად დგახარ,
 უნდა ვიცოდე, ახლა სად მელი,

რადგან დაბნელდა და სიბნელეში
 შენ ხელთ არა გაქვს შენი სანთელი,
 მე მეღვიძება და მახსენდება,
 რომ მძინებია თურმე რამდენი,
 ხელის ფათურით კედელს დავეძებ,
 მინდა ვიპოვო ბნელში ჩამრთველი,
 რომ გავანათო და გამახსენდეს
 ახლა სად დგახარ ანდა სად მელი,
 ვაითუ, მართლა სიბნელეში ხარ
 და არ გიპყრია ხელში სანთელი,
 მაგრამ თანდათან ვიბრუნებ ხსოვნას
 და მახსენდება — აღარსად მელი,
 და ყველა ქუჩა ცარიელია,
 და სულ უეცრად წყდება სათქმელი.

სახსოვარი

შენ იცი მე რომ ვარსკვლავების მიყვარს ნათელი,
 მე შენთვის ვარსკვლავს უფრო მეტად გავანათებდი;
 გავანათებდი, რომ ქუჩები შემოგვევარა,
 ენათებინე შენ იმ ვარსკვლავს, თუნდაც მე არა;
 ენათებინე, მე ხომ შენთვის მსურდა ნათება,
 ო, რა ძნელია უვარსკვლავოდ ღამის გათევა.

მიკიოტი ქალაქში

მთელი სიცოცხლე რასაც ვკიოდი,
 იმას, ყოვნებით და უამურად,
 ქალაქს გასძახის ყრუ მიკიოტი
 და შიგადაშიგ წივის ღამურა.
 ძაღლის ყეფა, ღამეს ფეთხებით
 აწყდება და ძრავს მარადისობას,
 ღამის ქარაფზე გადაფრდებით
 ეს სიღვავავე სულ გაისმოდა.
 მთელი სიცოცხლე რასაც ვკიოდი,
 ამ უმძრახ ქალაქს რითაც ვზაფრავდი,
 ღამეს უკივის ეს მიკიოტი
 და ღამეც უსმენს, როგორც ნაპრალი.
 რა მსურდა, რა მსურს, რა მესურვება,
 რა მანაღვლებს ან რა მინაღვლია,
 უაზრო დარდი და ცრუ ხურვება
 ამ ყრუ ღამეებს ზედ გადადვრია.
 როგორ ჩამესმის ეს ხმა იოტი,
 ღამე წვეთინვეთ როგორ ივსება,
 გათენებისას დუმს მიკიოტი
 და ეს ყრუ გმინვა მესაკლისება.

ერთი შემთხვევის გამო

კვამლი მიიწევს ცისკენ ხეულად
 უბრალო კვამლი — რუხი და მკვეთრი,
 არა შორეულ ციურ სხეულთა,
 ადამიანთა მანუხებს ხვედრი.
 და რადგან ფიქრობ, რომ ეს ხვედრია,
 ნუ იტყვი იმას, რომ სხვისი არის,
 თუმც ეს შემთხვევა ერთადერთია,
 ჩვენთვის ყველასთვის არის ზიარი.
 ვიცი, ჩემს სიტყვას დააგვიანდა,
 ვიცი, ეს სიტყვა არის გვიანი,
 ეს არის ხვედრი ადამიანთა
 და არა ერთი ადამიანის.

ნაშუალამისი ზოღვაპი
გალაკტიონის მოტივიზაჟი

შენში ამოსულ ვნებას
 როგორც ანეულ ფითილს
 მიჯრით მოჰყვება დარდი
 ყოფნა-არ ყოფნის მითის.

მასოვრობაში ვითვლი
 მთვარეს და მთვარის ბაკემებს,
 ნისლის, სულის და ქარის
 ლაკმე, მიშველე, ლაკმე!
 რა ვქნა, მითხარი, რა ვქნა,
 თუ ყოფნა მექცა ქარგად
 და ყველაფერი არის
 ცუდად და თანაც კარგად.
 რა ვუყო ახლა, მითხარ,
 ამ გულისამრევე სიზმრებს,
 გაჟღერებულ ყოფნას
 უკვე განყვეტილ სიმზე,
 გაფრიალებულ ილბალს,
 რომ მიმაქანებს თავქვე
 და ყოველივეს მიღმა
 რომ აღარაფერს ვაქნევ.
 ხშირად ვიგონებ დედას
 და უფრო ხშირად მამას,
 როცა სიზმარში ვხედავ
 დანას, დანას და დანას.
 რატომ ვერ მივხვდი ადრე,
 რატომ ვერ მივხვდი გვიან,
 ვარდებს, ვარდებს და ვარდებს,
 რომ სანაგვეზე ყოიან,
 რომ გიბრუნდება ყოფნა,
 ირიბად ანდა მრუდად,
 და ყველაფერი არის
 ცუდად, ცუდად და ცუდად.
 რა დამრჩენია, დარდებს
 შევკრიბავ იმწუხანდელს,
 ნაშუაღამევს სადმე
 სანთელს დავანთებ, სანთელს.
 რა კარგი იყო ღამე,
 გადატეხილი ქარგად,
 ყველაფერი რომ ჩანდა
 კარგად, კარგად და კარგად.
 და რადგან იყო მაინც,
 სხვას აღარაფერს ვაქნევ,
 ნავალ გავძახებ ღამეს:
 „ლაკმე, სადა ხარ, ლაკმე?“

მთა

იქნებ ეს არის ის მთა გოლგოთა,
 ქრისტეს რომ თავის ჯვარი მოჰქონდა.
 ეს ის ქედია, ეს ის თხემია,
 ქრისტეს სისხლი რომ დაუნთხევიათ,
 გაივლი ბარდებს, გათელავ ხნარცვებს,
 აქ იყო ქრისტე და ჯვარს აქ აცვეს.
 არა იცოდნენ თუ რას იქმოდნენ
 და თავის ჯვარი თვითონ მიჰქონდა. . .

გზასაცდენილი

მე ვდგები ღამე სანოლიდან,
 ბნელ ოთახებში
 მალალ სახლებში დაბიჯებენ
 მთვარეულივით გზადაკარგულნი,
 ეჯახებიან სკამებს, სარკეებს,
 მე ვდგები ღამე სანოლიდან
 და მივდივარ ქალაქგარეთ,
 გავცდები ქალაქს,
 შეშლილივით ვიპარები ჩემი სახლიდან,
 გავეპარები ჩემიანებს
 და ნავალ ნელა, ღამე ჩემია,
 ჩემი ყოფნის დრო არის ღამე,
 მივდივარ და ვხედავ შუქ-ჩრდილებს,
 როგორ ჰკიდია მალალ სახლებს
 ბნელი საბნები,
 მივდივარ და ვხედავ ბნელ ქუჩებს
 და არა მხოლოდ ამ ბნელ ქუჩებს,
 არამედ ნათელს,
 ყვითელ ნათელს გრძელი ჩვარივით
 ელნათურის გვერდით დაგდებულს,
 საით წავიდე,
 შენ მიკარნახე,
 ჩემო თავო, დაწყველილო
 გზაჯვარედინო,
 მე ხომ არ ვიცი,
 მე ღამეულ გზაზე დამდგარმა,
 საით უნდა ვიარო ნელა,
 არ შემხვდება არც მანქანა,
 და არც ძაღლი,
 და უკვე აღარც ადამიანი.
 მხოლოდ აი იქ,
 ჩემს აღთქმულ მხარეს,
 სადღაც ბენზინგასამართ სადგურს
 გავივლი ნელა
 და გავშორდები ქალაქის კიდეს,
 სადაც ავეყები იმ გზას, რომლითაც
 ოდესღაც სახლში ვბრუნდებოდი
 ნაგვიანევი
 (მე ხომ ადრე აქ ვცხოვრობდი),
 იქ, სადაც ბნელი ტყისპირებია

და აღარ არის უკვე სახლები,
 ჰო, იქ, ბაგებში,
 სადაც გზატკეცილს ანათებს მთვარე
 ანდა ღამის დიდი ნათურა,
 სადაც მე ადრე ვჩერდებოდი,
 რათა უკან გამომეხედა და დამენახა მთელი ქალაქი,
 დიდი ქალაქი,
 უნაპიროდ და უაზროდ განათებული,
 სადაც სძინავთ
 და რატომ სძინავთ არც კი იციან,
 სადაც სძინავთ და ნამიერად
 იძინებს მდურვა,
 იძინებს შური
 და იძინებს უშურველობაც,
 ასეთი ჩუმი და საცოდავი,
 იძინებს დარდიც,
 სულ ახლახან გაღვიძებული
 ჭაბუკის გულში
 ანდა ყმანველი გოგოს სიზმარში,
 იძინებს დიდი იმედები,
 დაუძინიათ
 და დილის ნათელს სასოებით ელოდებიან,
 აი, იქ სწორედ,
 სხვაგან კი არსად,
 სხვაგან არავინ,
 აი, იქ სწორედ,
 იქ შეიძლება
 მე შემხვდეს მგელი,
 იმ ტყის მასივში მოხეტიალე
 და ჩემსავით გზასაცდენილი.
 ნამით გამოყოფს თავს
 ტყის ტყვერიდან,
 მე დამინახავს
 და შებრუნდება მაშინვე შიგნით.

ისევ მამას

ცა დაისერა ჩუმი ცახცახით
 თითქოს ვარსკვლავი ვარსკვლავს მოება
 და საიდანღაც გაჩნდა საწყალი
 უბრალო სიტყვა: „ამაოება“.
 შენ ვილაცასთან ერთად გატეხე
 ლუქმა, ცხოვრების წრიდან გახველი,
 ქარი ქანაობს, ქშუის ამდენ ხანს
 ქანაობს როგორც ბაღში ძახველი.
 სხვადასხვა მხარეს გვაკრავს ცხოვრება
 ჯვარზე, ვილაცის ნებას ასრულებს
 და ვილაც ამბობს: „ყველას ცხონება,
 რა დაგმართიათ ხმაგაბასრულებს“.
 რა ბედენაა, გინდა იყავი
 და გინდა ტანჯვით ჯვარზე გაეკარ,
 და საიდანღაც გაურიყავი
 ჩნდება უბრალო სიტყვა: „რა ექნა“.
 ცხოვრებს წრიდან როგორ გახველი
 მამა, აგშორდა თითქოს დროება,
 არც დარდი დაგრჩა და არც ნალველი
 როცა ვარსკვლავი ვარსკვლავს მოება.
 და დადიოდი ასე ქუჩაში
 ვით ფარატინა ფურცლის ნახევი
 ახლა ჩემს ყოფნას ბოლო არ უჩანს,
 ქარია შენი ნაკარნახევი.
 ნუთუ ასეა, ყოფნა თვითონვე
 გაგრიყავს, გაქცევს ცოცხალ ქანდაკად,
 ცხოვრება უკან ჩამოიტოვე
 და თან ინერდი პირველს ხანდახან.

რატომ არ მოველ ან წვიმად და ან კი ლერწამად,
 რატომ არ მოველ ქუჩის ჩიხში ყრუ შეღამებად,
 რომელიც ღამის ნაპრალებში დიდხანს ენამა,
 და წუმპებში აირეკლა მისი წამება...

ჩემთვის სხვა ყოფა ამქვეყნად ხომ არ მოიძებნა,
 მერამდენეჯერ მეღვიძება ღამე ბრიყვივით,
 ისევ ის ძველი სიუჟეტი — გამოღვიძება,
 ზაფხულის ღამე, ბაყაყების ტკბილი ყიყინი.
 შენ დედაჩემო, ამ ღამეებს როგორ მაჩვევდი,
 ვერ შევეჩვიე ვერც ფხიზელი, ვერც ნამთვრალევი,
 არეკლილია ჩემს სარკეში ღამის ნარჩენი,
 ჩემი ოთახი კი სავსეა თეთრი მთვარეით...

ზაფხულის საღამო — ხელი ფანჯრიდან

მე, ნატა, კატო და ელენე და... ნათურები,
 ზედ თრიალეთის ქედზე მალლა შემართულები,
 და ეს საღამო, მანამდე სხვა საღამოები,
 მათ მოვეყვებოდი და მიკვირს, რომ დღემდე მოვედი.
 მე, ნატა, კატო და ელენე... და ნათურები
 ჩემი ფანჯრიდან თრიალეთზე შემართულები...

შენ ალბათ გიკვირს რა დააშავე,
 შენს მყუდრო კუთხეს რომ ვერ მიაგენ
 და წყნეთის ქვემოთ ქარი ნარშავებს
 სულ დაუდევრად აფორიაქებს.
 რა ვრცელია და უკიდევანო
 სივრცე, რომლითაც მზერა ივსება,
 ხსნა არ იქნება თვითონ შენგანაც,
 ამას ხომ ხვდები უკვე ისედაც.
 გადახვალ ხიდზე, სადაც მდინარე
 ვერე კვლავ ისევ ისე მიღლავს,
 და ამჩნევ მწუხრის მსუბუქ მინარევს
 შენ საითაც კი არ გაიხედავ.
 ცხოვრებას მოაქვს თავის ზვირთები,
 მოაქვს ფოთოლი, ხავსი, ნაფოტი,
 და გავიწყდება წყნარი კირთებით,
 რასაც ფიქრობდი და არ ამბობდი.
 და გავიწყდება. დაგვიწყებია,
 დაგვიწყებია უკვე მწარედაც,
 როცა ჩრდილები წყნარად წვევიან
 ცხოვრებაც წყნარი მოჩანს გარედან.
 რატომ დადიხარ, როგორც სალოსი —
 ზოგჯერ ფხიზელი, ზოგჯერ ნასვამი
 და ვარსკვლავების ტანისამოსი
 რატომ გაცვია შენც იმათსავით.
 შენ ალბათ გიკვირს, რა დააშავე,
 რასაც ეძებდი, რომ ვერ მიაგენ,
 ირგვლივ ლაყბობენ და ხორცს ხარშავენ
 და კითხულობენ: პასუხს ვინ აგებს?



ნიკოლაი ზაბოლოცკი

ულააზო გომონა

სხვა მოთამაშე ბავშვებს შორის ჩამოჰგავს ბაყაყს, ჩაყოლებული აქვს ტრუსებში კონკრეტული ბლეზა...

მისთვის უცხოა შურის ლანდიც და ცუდის თუნდაც გულში გავლენაც...

არ მსურს ვიფიქრო, რომ მოელის ისეთი დღე მას, რაც მტირალს...

მე მინდა მწამდეს, რომ ის ალი, სუფთა ესოდენ, რაც გოგონაში ანათებს...

ევგენი ევტუშენკო

საქართველოვ, ცრემლს მოგვწმენდ ალერსით და ქაქანით...

სვანაპი

ჰგავს ყველა სვანი კომეს სვანურს - ვხვდები. მათ გულებს, თითქოს, გარს აკრავს ქვები.

სვანში, თმენით და ჩათხრობილ გულით, ისტორიული იმალვის წყლული.

აქ სატიკივარი იმდენი მოჩანს, რომ უნებლიედ იქცევი კომკად.



ჟარტველთა მიწა

ქართველთა მიწა, ერთი ბენო, ერთი ციციქნა ხარ, მაგრამ მძლეობით მიიზიდე, ერთხელ ვინც გნახა...

ყოველი ყალბი სიმალლიდან ჩემი მხობილი ხარ. მაშინაც მიხმე, როცა მერნით ცისკენ გაფრინდი...

ქართველთა მიწა, ისე მძლეობ ტანჯულ სულითაც, რომ შინაგანი გუგუნით და ძალით მტრისა...

ჩიქოვანი

და ბრმავედებოდა ჩიქოვანი დღითიდღე უფრო, ვერ პოულობდა პურს, თუმცაღა წინ იყო სუფრა...

თარგმანთა შესახებ

ნუ უფრთხი თარგმანს თავისუფალს, როგორც საგიჟეს! არ გავნებს, თუკი სიყვარულში გული დაგორავს...

თარგმანში ვებრძვი შულერობას, რაც გულს გვისუსტებს. მომწონს პოეტთა უფლება და სიტყვით ქარგვანი...

არ შევიწროვდე! — შეგირდობას ნუკი ეცდები! მეტი მუსიკა და სილაღე გაეც ვენებისგან!

იური რიაშენცევი

შმაგ სტრიქონებით ლამე იყოს, იქნებ, ნაზავი... შავბნელ განზრახვებს ღამით სძინავთ ზაზუნასავით...

შუქს ნუ ანთებ, მუჯღუგუნებს ნულარ აპყვეები, ანმყო მოიცდის!.. მოგესალმონ შორი ბალები!..

თხილისის ხელი მთაწინდიდან

მამადავითის გუმბათის წვეტიც თვალს მიეფარა ნელა და სადად და უკვე ისე არ ჩანდა ხედი...

ამ ხმებს ნიავე ქვემოდან მახლის და ჩემში, თითქოს, თოვლივით წვება ხმა...

ვერ ვხვდები, რატომ, თუმცაღა უმალ მახვედრებს მწუხრის ქალაქი დაღლილს, რომ სახლი კარგი თუ არი, სტუმრის პატივით სულაც არ კარგობს სახლი...

და ცოდვილს აქაც არა სწამს ხატის, მხატვარი ხატავს, მტერს უჩანს ძულვაც და გმირიც...

მამ რა მჭირს! რაღაც მგონია შემშლის, გოცებისგან ველარა ვსუნთქავ და თოვლის გუნდა მიდნება ყელში...

ყოჩობს მთაწინდი: მე მისი მალალ მხრიდან ჩუმად, ან გრილით ზღვისებრ, ეტყობა...

მაგრამ ის მთა და როგორ იდგეს ისე, რომ ტოლი გაფუხედ შეცვლილს! ...და ქალაქიდან ამოდის სითბო...

ოლეგ ჩუხონცევი

მკვდარ, წასულ თოვლში შეგეძლება ჩემი მიგნება იქ, იმ ადგილას, რაც ველარსად ველარ იქნება...

არსებობს შორი ნავთსადგური, ბოლო საფარი, სადაც მკვდრის გლოვა და პატივი არის ზღაპარი...

ქარად და ფერფლად გაიფანტოს, ვინაც ამქვეყნად იშვა სიტყვისთვის... და აფრენა იქ მას აქედან,

დე, მოუწიოს ისე, როგორც მამალს უთავოს, - ეს ხვედრი მისთვის არ იქნება ცუდი უდავოდ...

რატომ ცივა? რატომ ქრის? არ ქრის. ლელავს ზღვასავით. ვილაც ეშმა ჯადოქრობს შემოსავალ-გასავლით.

შიმშილი თუ წნეხია? — წნეხია თუ ქაგილი? ეშმას სესხი მესხია... და ვცახცახებ კრავით.

ბუღალტერი კირკიტობს. აღმრიცხველი ვალალებს. ჯაბნით დროის ხრიკი და სენი - ჩემებრ ალალებს.

დროის ორპირ ქროლვამი წინ და უკან დაფრინავს ჩემი ყოფნა მომლაშო და ღმერთს ელის მალლიდან.

...რალა თქმა უნდა, ვერ ვიქნები მე ანი წნორი, ვერც ცვილი ქარში, ვერც პეპელა, ჭრელი და სუფთა, — მინა? - ვერც მინა! მე ვიქნები ისინი სწორედ, რაც აქ არასდროს არ ყოფილა: მოვკვდები სულმთლად. — სული? — ანბანიც ვერ ვიქნები მე წიგნებს შორის და ვერც პეპელა, ვერც სანთელი და ველარც წნორი, მე მთლად მოვკვდები. ვიმეორებ: მოვკვდები მთლად მე. - ღვთის სული? — ის ხომ იქ არაა?! აქაა სადმე.

სამერცხულს ირჩევს მხატვარი და იქ დარჩეს ცდილობს, იქ - სხვენია და, მოსასმენი არარა არის... ცა კი ახლოა და მხურვალედ ყვავილობს ტილო, როგორც ველური მზესუმზირა - ძმაკაცი დარის.

ლიტერატურული ლამე

2013 წლის 5 ივლისი

მაჩაბლის ცამეტში



„ლიტერატურული ლამის“ ძირითადი ნაწილი საჯარო კითხვას დაეთმო. ავტორებმა ბოლოდროინდელი და ადრეულ პერიოდში დაწერილი ნაწარმოებები გააცნეს მკითხველებს. ცხადია, სრულად – არა, ნაწყვეტების სახით. მათ ქართველი მთარგმნელები ეხმარებოდნენ.

საღამოს მოდერატორი მწერალი დათო ტურაშვილი გახლდათ.

მოგეხსენებათ, საჯარო კითხვა ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში ავტორისა და მკითხველის ურთიერთობის ერთგვარი ფორმაა — გამოცდილი და წარმატებული. მწერალი ახალ ნაწარმოებს თავად აცნობს, უკითხავს საზოგადოებას, ესაუბრება მასზე, პასუხობს მათ შეკითხვებს. ამგვარი ცოცხალი კავშირები ავტორსა და მკითხველს შორის ბოლო ხანებში ქართულ სივრცეშიც გაიბა. სხვადასხვა გამოცემლობა თუ წიგნის მაღაზია ხშირად ეპატიჟება მწერლებს და თავის აუდიტორიას უთმობს მათ ახალი ტექსტების გასაუფრებლად. თუმცა ერთი საღამოს განმავლობაში რამდენიმე უცხოელი ავტორის მიერ საჯაროდ ნაკითხული ნაწარმოებები ქართველ საზოგადოებას თბილისში ალბათ აქამდე არასოდეს მოესმინა. ამ „ქართულ“ ტრადიციას სწორედ „ლიტერატურულმა ლამემ“ და სწორედ მწერალთა სახლში დაუდო სათავე. სასიამოვნოა, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ზოგადი მაქსიმალიზმი ამჯერად კულტურული სფეროს მიმართულებით გამოვლინდა — ერთად შეკრებილი უამრავი ადამიანი მხატვრული ტექსტების მრავალსაათიან საჯარო კითხვას გულისყურით უსმენდა.

„ლიტერატურული ლამე“ 5 ივლისის საღამოს დათქმულზე ოდნავ მოგვიანებით, ასე, რვის ნახევრისთვის დაიწყო და გვიან ლამემდე გაგრძელდა. მთავარი დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. ბევრი სტუმარი ფეხზე იდგა და ასე უსმენდა მწერლებს. ბოლო რიგებში მდგომნი მართლაც მხოლოდ უსმენდნენ მათ, რადგან გადაჭედილი დარბაზის სიღრმეში მსხდომ ავტორთა დანახვა შეუძლებელიც იყო. მათ კი — ასეთები ძალიან ბევრი იყვნენ — ვინც დარბაზში ვერ შეაღწივს ან მალალ ტემპერატურას (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ვერ გაუძლევს, ანდა, უბრალოდ, იმ ავტორის „რიგს“ ელოდნენ, რომლის მოსასმენად, რომელთან შესახვედრადაც იყვნენ მისულნი, შესაძლებლობა ჰქონდათ ვერანდასა და დიდებულ ბაღში სუფთა ჰაერზე გასაუბრებოდნენ „თავიანთ“ მწერლებს, თეთრი ღვინო დაეჭაშნიკებინათ ან გამაგრებულნი სასმელით მოეთქვათ სული მათთან ერთად. შეიძლება ითქვას, დარბაზის გარეთ სხვა, უფრო თავისუფალი ფორმატის „ლიტერატურული ლამე“ იმართებოდა.

პროგრამის თანახმად, ჯეიმს ჰოპკინსი საზოგადოების წინაშე პირველი წარდგა. ამ ბრიტანელ მწერალს არაერთი ქართველი მკითხველი იცნობს, ბევრს უყვარს მისი პოეტური პროზა, როგორც ახასიათებენ — „სავსე გრაციოზულობითა და სიცოცხლისუნარიანობით“. ინტერესი შეიძლება ითქვას, ორმხრივია. თავად ჯეიმს ჰოპკინსი ადრეც ყოფილა საქართველოში. პირველად ის 2008 წელს გერმანელი მხატვრების ჯგუფთან ერთად ეწვია თბილისს და მონაწილეობა მიიღო პროექტში „ფიროსმანი“. მოგვიანებით კი მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა სტატიების სახით გაზეთებში „Esquire“ და „Berliner Zeitung“. გარდა ამისა, მან დაწერა „ქართული ტრილოგია“, რომლის პირველი ნაწილი, სახელწოდებით „ფარშევანგი გოგირდში“, სწორედ ფიროსმანის ცხოვრ-

ივლისის თვე მწერალთა სახლში ემოციური, ხალხმრავალი, ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისთვის უჩვეულო მოვლენით დაიწყო. ქართველი მკითხველი, მთარგმნელები, ლიტერატორები და მწერლები ამჯერად ლონდონში მცხოვრებ, კარგა ხნის უნახავ აკა მორჩილაძესა და მასთან ერთად რამდენიმე უცხოელ მწერალს — ჯეიმს ჰოპკინსს, გაუნტარ ოჰნემუსსა და ინგრიდ ტობუსს შეხვდნენ.

შეხვედრა ერთობლივი ევროპული პროექტის ფარგლებში გაიმართა. პროექტი სახელწოდებით „ლიტერატურული ლამე“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ბრიტანეთის საბჭოსთან, გოეთეს ინსტიტუტთან და ფრანგულ ინსტიტუტთან ერთად განახორციელა.

ბის მხატვრული გააზრება, ხოლო მეორე ნაწილი გალაკტიონ ტაბიძეს ეძღვნება. სხვათა შორის, 2008 წელს თბილისის გოეთეს ინსტიტუტში მწერალმა საჯაროდ წაიკითხა ნაწყვეტები თავისი პირველი რომანიდან „ზამთარი წყალქვეშ“. ამ წიგნის გარდა ავტორს გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების კრებული „ყვავილებსაც შეუძლიათ თქვან კრაკოვი“. მალე გამოვა მისი რომანი „დაემშვიდობე საუზმეს“ და მოთხრობების კრებული „ზღაპრები დევნილებისთვის“.

„ლიტერატურული ლამის“ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, მოესმინათ ნაწყვეტები ჯეიმს ჰოპკინის მოთხრობებიდან „ჯინ“ და „ფარშევანგი გოგირდში“. შემდეგ კითხვები დაუსვეს ავტორებს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ისინი, ვისაც ლიტერატურაში უწმინდური სიტყვების გამოყენება ალბათ აწუხებდა, მხატვრულ სიტყვის დაკნინებად მიიჩნია და ვინც ხელაღებით ეწინააღმდეგება ამგვარ ფორმებს. მოდერატორი დათო ტურაშვილი ცდილობდა, ზოგიერთი შეკითხვა იუმორით გაეჯერებინა და ასე მიეწოდებინა ადრესატისთვის, თუმცა ბრიტანელმა მწერალმა ჩინებულად შეძლო დაეცვა თავი და საკუთარი ტექსტები. მან თქვა: „ორი მიმართულებით ვცდილობ, ვწერო: ერთი მიმართულებითაა პოეტური ენა, მეორე კი — ყოველდღიურობის ენა. სწორედ ამათი შეჯახება, კოლიზია მიტაცებს და ვფიქრობ, ეს საინტერესო ხდის ჩემს ტექსტებს. თუმცა უხეშ ლექსიკას, თავისთავად, არც პოეტური ენა გამოიცილება, პოეზიაში მთავარი ხომ უღერადობაა, შინაარსი კი შედარებით მეორეხარისხოვანია. სულ ორმოცდათხუთმეტი მოთხრობა მაქვს დაწერილი, მათი უმეტესობა საცხოვრებელი ადგილის შეცვლას და ამასთან დაკავშირებულ შინაგან და გარე პროცესებს ეხება. რა ემართება ადამიანს, როცა ის საცხოვრებელს იცვლის? როცა ის სხვა, უცხო ენობრივ გარემოში ხვდება? მე მიცხოვრია სხვადასხვა ქვეყანაში — გერმანიაში, პოლონეთსა და ხორვატიაში. ჩემთვის გამონევაა, ნერდემ მშობლიურ ენაზე და ცხოვრობდე უცხო მხარეში, უცხოენოვან გარემოში. ჩემი მოთხრობების მამოძრავებელი ძალა სხვადასხვა კულტურის შეჯახების თემაა. ამ გაგებით თავს უფრო ევროპულ მწერლად მივიჩნევ, ვიდრე — ბრიტანელად. ერთ-ერთ იმ მოთხრობაში, რომელიც ახლა წავიკითხე, მოქმედება ტიპურ ბრიტანულ გარემოში, ჩრდილოეთ ინგლისში (სადაც მე გავიზარდე) ვითარდება, შემდეგ კი გერმანიაში გადაინაცვლებს. ეს ნაწარმოები საქართველზე ბრიტანეთის საბჭოს გამო ავირჩიე, ვინაიდან აქ სწორედ მათი მონვევით ვარ. აქი მასში მოქმედების ერთ-ერთი ადგილი სწორედ ბრიტანეთია“.

მცირეხნიანი შესვენების შემდეგ დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა ფრანგი მწერალი ინგრიდ ტობუა. მან წაიკითხა ნაწყვეტი რომანიდან „სლოირიანო“, რომელიც 2011 წელს ტიდ მონიეს პრიზით აღინიშნა.

„ლიტერატურული ლამის“ თითოეულ მონაწილეს საქართველოსთან რაღაც აკავშირებს. მაგალითად, ინგრიდ ტობუა ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლად იყო მოვლენილი, მას შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებს ქართველ მწერლებთან, მთარგმნელებთან, ასე რომ, ჯეიმს ჰოპკინის მსგავსად, მწერალთა სახლში სტუმრობისას არც იგი გრძობდა თავს უცხო გარემოში.

ინგრიდ ტობუა 1980 წელს საფრანგეთში დაიბადა. მისი



მწერლური ინტერესი იმთავითვე მიმართული იყო აღმოსავლეთისკენ. 2000 წლიდან ასწავლიდა ფრანგულ ენას ავღანეთში, ცხოვრობდა ირანში. ევროპელი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა თავისი რადიორეპორტაჟებით ჰაიტიდან, ინდონეზიიდან, კონგოს რესპუბლიკიდან. დამკვირვებლის მისიით იყო მივლენილი მოლდოვაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში. ემოციითა და შთაბეჭდილებებით სავსე ცხოვრება მან მხატვრულ სიტყვაში მოაქცია და სხვადასხვა დროს გამოსცა რომანები „ავღანეთის მეფეს არ დაუჭორნიებია“, „ანატომიური ანგელოზი“, „სოლიჩიანო“, ასევე „გაზაფხულის ლანდი“, რომელიც ფრედერიკ ლეკლუს ფოტოებით შთაგონებულმა შექმნა. ნაწარმოებები არაერთი ლიტერატურული ჯილდოთაა შეფასებული. ახალგაზრდა ევროპელი მკითხველისთვის ცნობილია ასევე ინგრიდ ტობუსის საყმანილო ნაწარმოებები „ნასიმი და ნასიმა“, „ტაო და ლეო“ და „ბრუნჰილდის ნინ“. იგი ყველა ასაკის მკითხველისთვის წერს.

„ლიტერატურული ღამე“ გერმანელმა გიუნტერ ოჰნემუსმა გააგრძელა. გამომსვლელთაგან ასაკით ყველაზე უფროსმა ავტორმა საზოგადოებას წაუკითხა მოთხრობა „ჩვენი ფანჯრების მდგომარეობა“, რომელიც შესულია კრებულში „უკანასკნელი დიდი არდადეგები“.

ოჰნემუსი ცნობილია არა მხოლოდ როგორც მწერალი, არამედ როგორც ინგლისურენოვანი მხატვრული ლიტერატურის ჩინებული მთარგმნელი. რიჩარდ ბრაუტონის ნაწარმოებების თარგმნამ მას აღიარება მოუტანა გერმანულ ლიტერატურულ წრეებში. რაც შეეხება ორიგინალურ შემოქმედებას, 1998 წელს გამოქვეყნებული რომანისთვის — „ვეფხვი შენს მხარზე“ — ავტორს მიენიჭა „ალფრედ კერის“ სახელობის ლიტერატურული კრიტიკისა და „ტუკანის“ პრემიები. სანამ გაითქვამდა სახ-

ელს როგორც მწერალი და მთარგმნელი, გიუნტერ ოჰნემუსმა გრძელი გზა განვლო, მან წიგნის დისტრიბუციით დაიწყო, ერთხანს კოლინზის ლექსიკონის კოლეგიაში რედაქტორად იმუშავა, დაკავებული იყო საგამომცემლო საქმიანობითაც. დღეს სამოცდასამი წლის მწერალი ქალაქ მიუნხენის მახლობლად, ფრაიზინგში ცხოვრობს და ინტენსიურად მოღვაწეობს შემოქმედებითად. დასაბეჭდად უკვე მზადაა მისი ორი ახალი წიგნი „ავა“ და „ეჭვია, რომ დამნაშავეა“, რომელსაც 2014 წელს Fischer-Verlag გამოსცემს.

ალბათ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „ლიტერატურულ ღამეს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა თუ ღირებულება შესძინა აკა მორჩილაძესთან შეხვედრამ. მწერალთა სახლში მისული საზოგადოება მონატრებული ქართველი მწერლის მოსმენას მთელი საღამო მოუთმენლად ელოდა. საღამოს მოდერატორმა, დათო ტურაშვილმა ქართველი მწერალი ასე წარადგინა: „როცა მას ვაქებ, მსაყვედურობს ხოლმე, სუბიექტური ხარო. რასაკვირველია, ასეცაა, შეფასებისას ყველა ადამიანი სუბიექტურია. მითუფრო — მე, რადგან მე და გიო ბავშვობიდან ვმეგობრობთ, სკოლაში ერთ მერხთან ვისხედით. მაგრამ ამავე დროს ვარ ობიექტური და ამაში დამეთანხმება ალბათ ყველა, მათ შორის მწერლები — მკითხველის დაბრუნება წიგნთან, თანამედროვე ქართულ ლიტერატურასთან, სწორედ გიო ახვლედიანის დამსახურებაა. ძალიან გამიხარდება თუ ამ აღიარებას თქვენც დამიდასტურებთ“. დარბაზში მქუხარე ტაში თანხმობის ნიშნად გაისმა.

აკა მორჩილაძე თავმდაბლად, გულწრფელობით წარსდგა აუდიტორიის წინაშე. მან ნაიკითხა ნაწყვეტები გამოუქვეყნებელი წიგნიდან სახელწოდებით „მორიდებუ-

ლი ზურმუხტი“. როგორც თავად დაახასიათა, ეს „ძაან სქელი წიგნია“, ასიათასსიტყვიანი ნაწარმოები, რომელიც სულ ახლახან გადასცა გამომცემელს. რომანში მოქმედება ვითარდება 1911 წლის საქართველოში, რომელიც „ცალკე სამეფოდაა“ წარმოდგენილი. დანარჩენი ყველაფერი ნამდვილიაო, — დასძინა ავტორმა.

სანამ საჯარო კითხვას შეუდგებოდა, გვითხრა ისიც, რომ ცხოვრებაში სულ მეორედ კითხულობდა ხმამაღლა. სკოლაშიც კი არ აკითხებდნენ მასწავლებლები, მოკლედ არ ვარ კარგი „ხმამაღლა მკითხველი“, მაგრამ დარბაზი მაინც განაბული ისმენდა მისი ხმით გაცოცხლებულ მხატვრულ სიტყვას. ჰო, სანამ შეუდგებოდა, „ნამოსცდა“, ამ წიგნში ოცდახუთი პერსონაჟია და ყველა კვდება, თუმცა ჯობდა არ გამეძხილა, რადგან ისინი ბოლოში კვდებიანო.

ჯერ ერთგვერდიანი ცალკე ამონარიდი ნაიკითხა დარბაზის „გასახურებლად“. შემდეგ ვრცელი ნაწყვეტის ჯერიც დადგა და „უროვენი“ ხალხის, პარიზში მცხოვრები ქართველი მილიონერის ოჯახურმა ცხოვრებამ მსმენელის წარმოდგენაში გაცოცხლება დაიწყო. საზოგადოებაში გიო ახვლედიანთან შეხვედრის იშვიათი შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და მისი ნაწარმოებების მრავალწლიანი კითხვისას გაჩენილ შეკითხვებზე ერთ საღამოში მოისურვა პასუხების მოსმენა. გრძელ რიგში ჩადგენენ ამა თუ იმ კონკრეტული თხზულებით შთაგონებული და დაინტერესებული მკითხველები, ყოფილი სტუდენტები, მთარგმნელები, ლიტერატორები. მათ ბევრი რამ აინტერესებდათ — რა მისცა უცხოეთში ცხოვრებამ ქართველ მწერალს, რომელი ავტორები მოსწონს განსაკუთრებით, რა ლიტერატურას კითხულობს, ეცნობა თუ არა მკითხველთა ელექტრონულ წერილებს და პასუხობს თუ არა მათ, როგორ აფასებს მისი ნაწარმოებების თარგმანებს, რატომ ირჩევს ბოლოდროინდელ ნაწარმოებებში მეტყველების დასავლურ-ქართულ ფორმებს და ასე შემდეგ. ერთი ასეთი რიტორიკული შეკითხვაც გაისმა — რას ელოდებით მომავლისგან, ან ჩვენ რას უნდა ველოდეთო. პასუხი კი ძალიან მარტივი იყო: „მომავლისგან არაფერს ველოდები. უბრალოდ, ვცხოვრობ. დიდი ხანია, ასე გადავწყვიტე“. ხოლო მან, ვისაც ჯერადანერლი, მომავალი წიგნის შინაარსი აინტერესებდა, მწერლისგან პასუხად მხოლოდ ეს მოისმინა: „რის დაწერას ვაპირებ? თხელი წიგნების“.

დასასრულ დათო ტურაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა მწერლებს, დამსწრე საზოგადოებას, მწერალთა სახლს — „ლიტერატურული ღამის“ მასპინძელსა და ღონისძიების ორგანიზატორებს — კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საერთაშორისო კულტურული ინსტიტუციებთან ერთად.

საღამოს ოფიციალური დასრულების მიუხედავად, „ლიტერატურული ღამე“ ძველი თბილისის ქუჩებში გაგრძელდა.

მოამზადა თამარ შურულაძე

ოლეგ ჩუხონცევი

თეთრ ნაპირებში იბინდება მდინარე ნაზად,
ყინულსვლა არის მთლად ნარნარი და ნელი ძალზე
და ჩამიჩუმდი დანანაობს მინდვრებზე, სადაც
მეწყერს ვიხილავთ ორ კვირაში, ან სულაც ხვალ-ზეგ.
მე აქ დავკარგე რალაც, მაგრამ სად, ანდა — როდის?!
ბორბალიც წყალში ყოყმანობს და არავინ მოდის.

როს აკაცის ყვავილები ჩანან ნათრთოლნი,
ხოლო ბაღს ახლოს ერთი ჩიტიც არ ეკარება,
ვუცქერ და ვფიქრობ: რა საამო არი, ჩათვალო
შენ შენი თავი ამ თაკარა დღის მდუმარებად.

და როს ხალისის სისადავე დიდებულია,
რა კარგია, რომ აღარ უფრთხი სიტყვებს აუგებს
და რომ დრო დადგა უკვე, მძიმედ დაკიდებული
ვაშლები ტოტებს წაართვა და შენს გზას გაუყვე.

დე, ადრეული მუავე კენკრა სხვებმა ინებონ,
მე კი, ნაყენი მიჩვენია კენკრის, უტკბესი,
როდესაც გემო ერთგულობს და გამოცდილებაც,
მონიფულობის, ალაღია მძიმე წუთებშიც...

საღამოობით ჰაერი მთლად ლილისფერია
და ეცეკვება ამინდს ფუტკრის მთელი ნაყარი,
გამოდის, მალე მოფრინდება ჭირხლის ფერია
და გაგვიხდება აგარაკი — ხსოვნის ზღაპარი...

მაგრამ სამტრედე სახურავზე — ისე მჩატეა,
ასტრებიც ისე ყვავილობენ და ხიბლს თესვენ,
რომ ფიქრობ, დროა უდაისო და გსურს პატივი
სცე ამ ცხოვრებას, რაც საამო ჩანს ამ დღესავით.

და ბავშვობაში რომ მოტეხდი, ისე მოტეხო
გსურს პურის ყუა, მოატეხო ნიბო ყავარსაც,
ფრანსაც უშვებდე ცაში ისე მაღლა, ოდესღაც
რომ გაგიშვია ყმანვილს, როგორც არვის აღარსად.

თარგმნა პატიუ დანელიამ



